



დახმარების შესახებ ხელშეკრულება

ძირითადი ტექსტი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულება # AAG-114-G-10-002

ამერიკის შეერთებულ შტატებსა

და

საქართველოს

შორის

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იმულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის

12 აგვისტო, 2010 წელი

ფისკალური მონაცემები:

საბიუჯეტო გეგმის კოდი: EC-SUP/2009/2010, NI-1207-X-2010, NI-X-2010

ამოცანები: ეკონომიკური ზრდა და ჰუმანიტარული დახმარება

პროგრამის მოქმედების სფერო/კომპონენტი: A16, A18, A19, A20, A22

საელდებულო რაოდენობა: \$77,069,599

ხელშეკრულების ნომერი: AAG-114-G-10-002

Handwritten signature and date:
11/08/10

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

ძირითადი ტექსტი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
დახმარების შესახებ ხელშეკრულება # AAG-114-G-10-002

ამერიკის შეერთებულ შტატებსა

და

საქართველოს

შორის

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის

12 აგვისტო, 2010 წელი

ფისკალური მონაცემები:

საბიუჯეტო გეგმის კოდი: EC-SUP/2009/2010, NI-1207-X-2010, NI-X-2010

ამოცანები: ეკონომიკური ზრდა და ჰუმანიტარული დახმარება

პროგრამის მოქმედების სფერო/კომპონენტი: A16, A18, A19, A20, A22

სავალდებულო რაოდენობა: \$77,069,599

ხელშეკრულების ნომერი: AAG - 114 - G - 10 - 002

ხელშეკრულება დახმარების შესახებ
შინაარსი

მუხლი 1: ხელშეკრულების მიზანი

მუხლი 2: ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები და პროგრამის კომპონენტები

პუნქტი 2.1. ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები

პუნქტი 2.2. პროგრამის კომპონენტები

პუნქტი 2.3. 1-ლი დანართი, განვრცობილი აღწერა

მუხლი 3: მხარეთა მონაწილეობა

პუნქტი 3.1. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობა

პუნქტი 3.2. გრანტის მიმღების მონაწილეობა

მუხლი 4: საქმიანობების დასრულების თარიღი

მუხლი 5: თანხის გადახდის წინაპირობები

პუნქტი 5.1. პირველი გადახდა

პუნქტი 5.2. დამატებითი თანხის გადახდა

პუნქტი 5.3. შეტყობინება

პუნქტი 5.4. წინაპირობების შესრულების საბოლოო თარიღები

მუხლი 6: სპეციალური დებულებები

მუხლი 7: სხვადასხვა

პუნქტი 7.1. კომუნიკაცია

პუნქტი 7.2. წარმომადგენლები

პუნქტი 7.3. სტანდარტული დებულებების დანართი

პუნქტი 7.4. ხელშეკრულების ენა

დანართი 1 განვრცობილი აღწერა

დანართი 2 სტანდარტული დებულებები

დახმარების შესახებ ხელშეკრულება

თარიღი: 12 აგვისტო, 2010

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით (შემდგომში, „USAID“)

და

საქართველოს შორის, რომელიც მოქმედებს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში, „გრანტის მიმღები“)

მუხლი 1: ხელშეკრულების მიზანი

დახმარების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში, „ხელშეკრულება“) მიზანია ასახოს ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ მხარეთა (შემდგომში, „მხარეები“) ურთიერთ შეთანხმება მომდევნო მუხლით გათვალისწინებულ ამოცანასთან დაკავშირებით.

მუხლი 2: ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები და პროგრამის კომპონენტები

პუნქტი 2.1. ფუნქციონალური ამოცანა, პროგრამის მოქმედების სფეროები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური დახმარების სტრატეგიულ სრულყოფილ საფუძვლებში ჩამოყალიბებული უცხოური დახმარების ეკონომიკური ზრდის და პუმანიტარული დახმარების („ფუნქციონალური ამოცანა“) ამოცანის შესრულების შემდგომი ხელშეწყობის მიზნით ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ სფეროებში განსახორციელებელ საქმიანობებზე: ეკონომიკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სტრატეგიულ სექტორებში, და დაცვა, დახმარება და პრობლემების გადაჭრის გზები (ერთობლივად, „პროგრამის მოქმედების სფეროები“, ხოლო ფუნქციონალურ ამოცანასთან ერთად, („ამოცანა“).

პუნქტი 2.2. პროგრამის კომპონენტები. აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ, რათა მიაღწიონ შემდეგს: 1. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, 2. მუნიციპალური განვითარება და ეკონომიკური შესაძლებლობები და 3. დახმარება კრიზისულ სიტუაციაში და აღდგენა (იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა). აღნიშნული კომპონენტები და ის ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება პროგრამის კომპონენტების განხორციელების შედეგები, აღწერილია 1-ელ დანართში. 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციონალური ამოცანის განმარტების ფარგლებში წინამდებარე 2.2 პუნქტი შესაძლოა შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში ოფიციალური ცვლილების შეტანის გარეშე.

პუნქტი 2.3. *1-ლი დანართი, განვრცობილი აღწერა.* თანდართულ 1-ელ დანართში ვრცლად არის აღწერილი ზემოაღნიშნული ამოცანა და განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტები, პროგრამის ქვეკომპონენტები და ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება პროგრამის თითოეული მოქმედების სფეროში მიღწეული შედეგები. 2.1 ქვეპუნქტში წარმოდგენილი *ფუნქციონალური ამოცანის* განმარტების ფარგლებში 1-ლი დანართი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში ოფიციალური ცვლილების შეტანის გარეშე.

მუხლი 3: მხარეთა მონაწილეობა

პუნქტი 3.1. ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობა

(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, *1961 წლის უცხოური დახმარების შესახებ აქტის*, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით *აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)* გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამოცდაჩვიდმეტ მილიონ, სამოცდაცხრა ათას, ხუთას ოთხმოცდაცხრამეტ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს (\$77,069,599) (შემდგომში, „გრანტი“).

(ბ) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა. ამოცანის შესასრულებლად USAID-ის სააგენტოს მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხა შეადგენს ოთხმოცდა სამ მილიონ, სამოცდაცხრა ათას, ხუთას ოთხმოცდაცხრამეტ აშშ დოლარს (\$83,069,599), რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით. შემდგომი ზრდადი თანხების გაცემა დამოკიდებული იქნება ამ მიზნით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრების არსებობაზე, რომელთა გაცემაც შეიძლება განხორციელდეს USAID-ის მიერ გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ მონაწილეობის ყოველი გაზრდილი თანხა, თუ ამგვარი რამ მოხდება, ჯამობრივად გაზრდის 3.1 პუნქტით განსაზღვრული გრანტის თანხის მთლიან ოდენობას, რის შედეგადაც ასევე შესაძლოა გაიზარდოს 3.2 პუნქტით გათვალისწინებული გრანტის მიმღების მონაწილეობის თანხა. გრანტის მიმღების მონაწილეობის თანხის ზრდა მოხდება 7.4 პუნქტით განსაზღვრული წესით ხელშეკრულებაში ფორმალური შესწორების შეტანის საფუძველზე.

(გ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ეტაპზე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო განსაზღვრავს, რომ 3.1(ა) პუნქტით გათვალისწინებული მისი მონაწილეობა აღემატება იმ გონივრულ თანხას, რომელიც შეიძლება გამოიყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანის მისაღწევად მიმდინარე ან მომდევო აშშ ფისკალურ წელს, გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ USAID-მ შეიძლება გაიტანოს ეს ჭარბი თანხა, რითაც შემცირდება 3.1(ა) პუნქტით განსაზღვრული გრანტის თანხა. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედებები არ განაპირობებს 3.1(ბ)

პუნქტით გათვალისწინებული USAID-ის მონაწილეობის მთლიანი მიახლოებითი თანხის გადასინჯვას.

პუნქტი 3.2. გრანტის მიმღების მონაწილეობა

(ა) გრანტის მიმღები თანხმდება გაიღოს ან უზრუნველყოს გასცეს ყველა ის თანხა, იმ სახსრების გარდა, რომელსაც გამოჰყოფს USAID და 1-ელ დანართში მითითებული ნებისმიერი სხვა დონორი - და ასევე უზრუნველყოს ყველა სხვა რესურსის არსებობა, რომელიც საჭიროა ამოცანის შესრულების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის საქმიანობების დასრულების თარიღამდე, ან ამ თარიღისათვის.

(ბ) გრანტის მიმღების მონაწილეობა, რომელიც ეფუძნება 3.1(ა) პუნქტით გათვალისწინებული USAID-ის მონაწილეობის თანხას, არ უნდა იყოს \$24,376,437 აშშ დოლარის ექვივალენტზე ნაკლები, რაც ასევე მოიცავს არაფულადი სახით განხორციელებულ მონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ USAID 3.1(ა) პუნქტით გათვალისწინებული საგრანტო თანხის ოდენობას თანდათან გაზრდის, რომლის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს აღნიშნული პუნქტი, შესაბამისად გაიზრდება გრანტის მიმღების მონაწილეობა თანხის ყოველი ამგვარი გაზრდის დროს ისე, რომ გრანტის მიმღების მონაწილეობა არ იყოს გრანტის იმ ერთი მესამედი ნაწილის ექვივალენტზე ნაკლები, რომელიც ისეთი საქმიანობების მხარდასაჭერად გამოიყენება, რომელთა განხორციელების შედეგადაც უშუალოდ საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს, ან რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საქართველოს მთავრობის უშუალო და მნიშვნელოვან მონაწილეობას ამგვარი დახმარების ადმინისტრირების, კონტროლის ან მართვის თვალსაზრისით. გრანტის მიმღების მონაწილეობის ზუსტი თანხა უნდა აღინიშნოს USAID-ის წერილობით შეტყობინებაში, რომელიც მომზადდება ყოველი ამგვარი გაზრდილი მონაწილეობის შესახებ. ხელშეკრულების ამოცანის შესრულებაში გრანტის მიმღების დაგეგმილი მონაწილეობის მთლიანი მიახლოებით თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება იმ სახსრებზე, რომელიც გრანტის მიმღებს ექნება ამ მიზნისათვის, და ასევე იმ სახსრებზე, რომელიც USAID-თვის იქნება ხელმისაწვდომი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს 3.1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული მთლიანი მიახლოებითი თანხის გამოყოფა.

მუხლი 4: საქმიანობების დასრულების თარიღი

(ა) საქმიანობების დასრულების თარიღი, რომელიც არის 2014 წლის 14 დეკემბერი, ან სხვა თარიღი, რომელზეც შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - არის ის თარიღი, როდესაც მხარეთა შეფასებით ხელშეკრულების ამოცანის შესასრულებლად საჭირო ყველა საქმიანობა დასრულდება.

(ბ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც USAID სხვაგვარად განსაზღვრავს ამას წერილობით, USAID არ გასცემს, ან არ დაამტკიცებს იმ დოკუმენტაციას, რომლითაც მოხდება საგრანტო თანხის გაცემის ავტორიზაცია იმ

მომსახურებისათვის ან საქონლისათვის, რომელთა მოწოდებაც განხორციელდა საქმიანობების დასრულების თარიღის შემდეგ.

(გ) *განხორციელების წერილებში აღწერილ საჭირო დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნები USAID-ს უნდა გაეგზავნოს საქმიანობების დასრულების თარიღიდან არა უგვიანეს ცხრა (9) თვისა, ან სხვა იმ პერიოდში, რომელზეც USAID წერილობით დათანხმდება, რომ მათი წარმოდგენა მოხდეს აღნიშნულ ვადამდე, ან მის შემდგომ. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ USAID-მ შეიძლება წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს გრანტის მიმღებს და შეამციროს საგრანტო თანხა სრულად ან მხოლოდ იმ ოდენობით, რომლის გადახდის შესახებ, განხორციელების წერილებით განსაზღვრულ საჭირო დამხმარე დოკუმენტაციასთან ერთად, არ იქნა წარმოდგენილი მოთხოვნა ამგვარი პერიოდის გასვლამდე.*

მუხლი 5: თანხის გადახდის წინაპირობები

პუნქტი 5.1. *პირველი გადახდა.* გრანტით გათვალისწინებულ პირველ გადახდამდე, ან USAID-ის მიერ დოკუმენტაციის გაცემამდე, რომლის მიხედვითაც განხორციელდება თანხის გადახდა, გრანტის მიმღები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით, ვალდებულია USAID-ს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები იმ ფორმით და შინაარსით, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება USAID-თვის:

(ა) USAID-თვის მისაღები იუსტიციის სამინისტროს დასკვნა იმის თაობაზე, რომ წინამდებარე ხელშეკრულება (i) სათანადოდ იქნა დამტკიცებული, ან რატიფიცირებული, და გაფორმებული გრანტის მიმღების მიერ ან მისი სახელით, (ii) წინამდებარე ხელშეკრულება არის იურიდიული ძალის მქონე და იურიდიულად დამაჯავალდებულებელია გრანტის მიმღებისათვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, და (iii) წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო ყველა ქვეყნის შიდა ღონისძიებებისა და ვიზირების განხორციელება უზრუნველყო გრანტის მიმღებმა, ან უზრუნველყოფილ იქნა გრანტის მიმღებისათვის; და

(ბ) ხელმოწერილი განცხადება იმ პირის სახელზე, რომელიც გრანტის მიმღების დაწესებულებაში იკავებს 7.2 პუნქტში მითითებულ თანამდებობას, ან მოვალეობის შემსრულებელია, და რომელიც სახელისა და თანამდებობის მითითებით დაასახელებს დამატებით სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც იმოქმედებენ 7.2 პუნქტის შესაბამისად.

პუნქტი 5.2. *დამატებითი თანხის გადახდა.* მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური განვითარებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების, ან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის გრანტის ფარგლებში დამატებითი თანხის გადახდამდე, ან USAID-ის მიერ იმ დოკუმენტაციის მომზადებამდე, რომლის მიხედვითაც განხორციელდება დამატებითი თანხის გადახდა, დაკმაყოფილებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

(ა) კონკრეტული პროექტისათვის დამატებითი თანხის გადახდამდე, USAID-მ უნდა დაამტკიცოს თითოეული პროექტი, რათა დაადასტუროს, რომ იგი შეესაბამება USAID-ის განვითარების ამოცანებს და ასევე ის, რომ მისი შერჩევის დროს გამოყენებული იქნა ისეთი პროცესი, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი რეგიონების, მუნიციპალიტეტების, და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და მათგან მოსაზრებების მიღება.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული კონტრაქტის ან გრანტის გადახდამდე გრანტის მიმღებმა USAID-დან უნდა მიიღოს თანხმობა, რომ რამდენადაც ეს ცნობილია USAID-თვის, შესაბამისი შესყიდვა განხორციელდა გამჭვირვალედ და ღიად, და შეიცავდა იმ კომპონენტებს, რომელსაც მოითხოვს USAID და წარმოადგენს გაწეული მომსახურებებისა და მოწოდებული საქონლის სამართლიან ღირებულებას.

(გ) რომელიმე კონკრეტული პროექტისათვის ნებისმიერი თანხის გადახდამდე, რომელიც USAID-ის ფულადი თანხით მონაწილეობას 90 პროცენტზე მეტად გაზრდის მოცემული პროექტისათვის, USAID და გრანტის მიმღები განახორციელებენ საბოლოო შემოწმებას და წერილობით დაადასტურებენ, რომ სამუშაოები კონტრაქტის შესაბამისად განხორციელდა.

პუნქტი 5.3. *შეტყობინება*. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს გრანტის მიმღებს მაშინ, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გადაწყვეტს, რომ წინაპირობა დაკმაყოფილდა.

პუნქტი 5.4. წინაპირობების შესრულების საბოლოო თარიღები. 5.1 პუნქტით განსაზღვრული წინაპირობების შესრულების საბოლოო თარიღი არის 90 დღე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან, ან სხვა მომდევნო თარიღიდან, რომელზეც შესაძლოა მიღებულ იქნეს USAID-ის წერილობითი თანხმობა ზემოაღნიშნული საბოლოო თარიღის დადგომამდე ან ამ თარიღის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ 5.1 პუნქტში მოცემული წინაპირობები არ დაკმაყოფილდება წინაპირობების შესრულების ზემოაღნიშნულ საბოლოო თარიღამდე, USAID-მ შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

მუხლი 6: სპეციალური დებულებები

(ა) გრანტის მიმღები, საქართველოს მთავრობის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ვალდებულია იღებს და თანხმდება, რომ ანაზღაურების გარეშე დროულად გასცემს, განაახლებს და/ან ვადას გაუგრძელებს ყველა ოფიციალურ ნებართვას, ვიზას, შეღავათს და სხვა ნებართვებს (მათ შორის ყველა იმ ნებართვას, რომელიც შესაძლოა პერიოდულად საჭირო იყოს

ინფორმაციაზე სრული ხელმისაწვდომობის, პროექტის განხორციელების ადგილებსა და შესაბამის უწყებებში სრული დაშვების უზრუნველყოფისათვის) იმ შესაბამისი პირობისათვის (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებენ USAID-ის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს (ერთობლივად „მოთხოვნილი დოკუმენტები“). ამ დებულების მიზნებისათვის შესაბამისი პირობს წარმოადგენენ: (1) ნებისმიერი კონტრაქტორის, გრანტის მიმღების და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლები და კონსულტანტები, რომლებიც ახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს, და (2) ამ თანამშრომლებისა და კონსულტანტების ოჯახის წევრები. ასევე უფასოდ უნდა განხორციელდეს მოთხოვნილი დოკუმენტების განახლება ან ვადის გაგრძელება, რომელიც მოითხოვება, ან შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს კანონმდებლობით - რათა ზემოაღნიშნულმა თანამშრომლებმა, კონსულტანტებმა და მათი ოჯახის წევრებმა ლეგალურად იცხოვრონ საქართველოში და განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და დაფინანსებული საქმიანობები.

(ბ) ქვედაფინანსება, თანხების ქვეგამოყოფა და ფინანსური საშუალებების გადახდა. რაც შეეხება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად განსახორციელებელ გადახდას, გრანტის მიმღები თანხმობას გამოთქვამს, რომ პუნქტ 5.1-ში გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ, USAID-ს შეეძლება შემდგომი დამტკიცებისა ან შეთანხმების გარეშე ქვედაფინანსოს, გამოუყოს თანხები და გადაუხადოს საგრანტო ფინანსური საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომია პუნქტ 3.1 (ა) შესაბამისად, ასეთი კონტრაქტებისა და გრანტების მეშვეობით USAID-ს მიერ შერჩეულ პირებს, იმ პირობით, რომ ასეთი ოპერაციები და გადახდა შესაბამისობაში იქნება I დანართში გათვალისწინებულ პირობებთან (განვრცობილი აღწერა).

(გ) USAID – მ პერიოდულად უნდა შეატყობინოს გრანტის მიმღებს USAID –ის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში პირდაპირი გზით განხორციელებული ყველა გადახდის შესახებ და მიაწოდოს გრანტის მიმღებს ინფორმაცია ასეთი გადახდების რაოდენობასა და მიზნის (მიზნების) შესახებ. თუმცა, საჭირო იქნება გრანტის მიმღების წინასწარი თანხმობა იმ საგრანტო თანხებთან დაკავშირებით, რომლებსაც მას პირდაპირ გადაუხდებინ.

(დ) მხარეები თანხმდებიან, რომ USAID მონაწილეობას მიიღებს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) “სამეთვალყურეო საბჭოს” საქმიანობაში, რომელიც შეეხება წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უზრუნველყოფისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებებს, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ღონისძიებები განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) მიერ. რაც შეეხება ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც არ განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) მიერ, მხარეები თანხმდებიან „მმართველი კომიტეტის“ ჩამოყალიბებაზე, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ აშშ საელჩოს, USAID-ის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლები, და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რომლებიც ერთობლივად მოახდენენ წინამდებარე

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინირებასა და მონიტორინგს.

მუხლი 7: სხვადასხვა

პუნქტი 7.1. *კომუნიკაცია.* წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა, დოკუმენტი, ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობით, ტელეგრამის, ტელეფაქსის, კაბლოგრამის, ან ელექტრონული ფოსტის ("e-mail") მეშვეობით, და ისინი მიიჩნევა სათანადოდ გაგზავნილად, როდესაც მხარე მიიღებს მას შემდეგ მისამართზე:

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს/საქართველო:
საფოსტო მისამართი:

მისიის დირექტორი

ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩო საქართველოში
გიორგი ბალანჩინის ქ. №11
თბილისი 0131, საქართველო

ტელეფაქსი:

(995 32) 544145

გრანტის მიმღებს:
საფოსტო მისამართი:

ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქუჩა №16
თბილისი, საქართველო

ტელეფაქსი:

(995 32) 261 444

გრანტის მიმღებს:

რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი,
საქართველო
(99532)510757

ტელეფაქსი:

ყველა ამგვარი კომუნიკაცია იწარმოებს ინგლისურ ენაზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან წერილობით. მეორე მხარის შეტყობინების შემდეგ აღნიშნული მისამართები შეიძლება შეიცვალოს სხვა მისამართებით.

პუნქტი 7.2. *წარმომადგენლები.* წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ფორმალური შესწორებისას გრანტის მიმღები წარმოდგენილი იქნება პირით,

რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობას იკავებს, ან მოვალეობის შემსრულებელია, ხოლო USAID წარმოდგენილი იქნება *მისიის დირექტორით ან მისიის დირექტორის მოვალეობის შემრულებელი პირით*. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა სხვა მიზნებისათვის, გრანტის მიმღები წარმოდგენილი იქნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ან მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, ხოლო USAID წარმოდგენილი იქნება *მისიის დირექტორით ან მისიის დირექტორის მოვალეობის შემრულებელი პირით*. წერილობითი შეტყობინების სახით თითოეულ წარმომადგენელს შეუძლია დაასახელოს დამატებითი წარმომადგენლები ყველა სხვა მიზნებისათვის, გარდა ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების ხელმოწერისა, ან 2.2 და 2.3 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებისა, რომელიც გულისხმობს *პროგრამის კომპონენტების, ინდიკატორების ან 1-ლი დანართის* გადასინჯვას. გრანტის მიმღების დამატებითი წარმომადგენლების სახელი, გვარი, თანამდებობა და ხელმოწერის ნიმუში 5.1(ბ) პუნქტის შესაბამისად წარედგინება USAID-ს, რომელიც სათანადოდ გაფორმებულად მიიჩნევს ნებისმიერ საშემსრულებლო დოკუმენტს, რომელიც ხელმოწერილი იქნება დასახელებული დამატებითი წარმომადგენლების მიერ (ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ, რომელიც შეცვლის ამ პირს, ან იქნება მოვალეობის შემსრულებელი) 7.2 პუნქტის შესაბამისად იმ დრომდე, სანამ USAID არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

პუნქტი 7.3. *სტანდარტული დებულებების დანართი.* სტანდარტული დებულებების დანართი (მე-2 დანართი) თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

პუნქტი 7.4. *შესწორება.* წინამდებარე ხელშეკრულებაში შესატანი *ფორმალური შესწორების* შესახებ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ შესწორების წერილობითი სახით გაფორმების და ძალაში შესვლის შემდეგ და ასეთი *შესწორებები* ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

პუნქტი 7.5. *დოკუმენტის ძალაში შესვლა.* წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც აშშ - რომელიც USAID-ით არის წარმოდგენილი - მიიღებს საქართველოს შეტყობინებას, რომ იგი თანახმაა აიღოს იურიდიული ვალდებულება, როგორცაა გათვალისწინებული მუხლით 5.1(a).

პუნქტი 7.6. *ხელშეკრულების ენა.* წინამდებარე ხელშეკრულება მომზადებულია ინგლისურ ენაზე ორ ვერსიულად.

რომლის დასტურადაც, ამერიკის შეერთებული შტატები და გრანტის მიმღები, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ მითითებულ დღეს.

ამერიკის შეერთებული შტატების
წარმომადგენელი:

საქართველოს
წარმომადგენელი:

ჯონ რ. ბასს
ელჩი

კახა ბაინდურაშვილი
ფინანსთა მინისტრი

ამერიკის შეერთებული შტატების
საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
წარმომადგენელი:

ჯონატან მ. ქონლი
დირექტორი

**დახმარების შესახებ ხელშეკრულების
1-ლი დანართი
განვრცობილი აღწერა**

I. შესავალი

წინამდებარე დანართში აღწერილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობები, და ის პროგრესი და შედეგები, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულებით გამოყოფილი სახსრების განკარგვით. 1-ელ დანართში მოცემული არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში მოცემული განსაზღვრებების ან პირობებების შეცვლა.

II. წინაისტორია

2008 წლის აგვისტოში ორმა შოკმა, რომელიც საქართველომ განიცადა ერთი მხრივ რუსეთთან კონფლიქტისა და მეორეს მხრივ გლობალური ეკონომიკური ვარდნის გამო, სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა, რომელიც თავის მხრივ გაელენას ახდენს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობაზე. კონფლიქტმა, კრიზისმა და ყოველივე ამის შედეგად ეკონომიკური ზრდისა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემცირებამ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს სირთულეები შეუქმნა და შეასუსტა საბიუჯეტო სახსრებით ძირითადი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა საქართველოს რაიონების განვითარების მნიშვნელოვანი ინიციატივების დასაფინანსებლად.

წლების განმავლობაში ძირითადი მომსახურებების (მაგ. წყალმომარაგება და საკანალიზაციო სისტემები, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და სარწყავი სისტემები) ხარისხის, ამ მომსახურებების მოცვის მასშტაბის, და ტექნიკური მომსახურების ხარისხის გაუარესებამ გააუარესა საქართველოს სასოფლო დასახლებებში და სოფლად ცხოვრების ხარისხი და შეაფერხა კერძო სექტორის განვითარება. ხშირად აღნიშნულ მომსახურებებზე დაწესებული ტარიფები ჯერ კიდევ ვერ ფარავს ტექნიკური მომსახურებისა და ცვეთის ხარჯებს, ხოლო არადაამაკმაყოფილებელი ხარისხის ინფრასტრუქტურა გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის ნაკლებ სურვილს ბადებს. საქართველოს წინაშე არსებული სირთულეებს ისიც ამძაფრებს, რომ ქვეყანამ დახმარება უნდა გაუწიოს იძულებით გადაადგილებულ პირს, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ საქართველოში. (იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები საჭიროებს ვარგისიან საცხოვრებელ ადგილს).

ამიტომ, მხარეები ცდილობენ ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდასა და მოწყველადი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას, მათ შორის საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უზრუნველყოფას, მუნიციპალურ განვითარებას, ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნასა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პრიორიტეტების დადგენას.

III. დაფინანსება

ფინანსური გეგმა. პროგრამის ფინანსური გეგმა წარმოდგენილია თანდართულ ცხრილში. წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში ოფიციალური ცვლილების შეტანის გარეშე მხარეთა წარმომადგენლებმა ფინანსურ გეგმაში შეიძლება შეიტანონ ცვლილებები იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილებები არ იწვევს (1) ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული USAID-ის მონაწილეობის თანხის გაზრდას, ან (2) გრანტის მიმღების მონაწილეობის თანხის შემცირებას ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებულ თანხასთან შედარებით.

IV. შედეგების ჩარჩოები

არსებობს მოლოდინი, რომ საერთო მიზნების განსახორციელებლად, *ეკონომიკური ზრდისა და მოწყვლადი მოსახლეობისათვის პუმანიტარული დახმარების გაწვევის* პროექტი უნდა ფოკუსირდეს სამ სექტორზე: მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, მუნიციპალური განვითარება და ეკონომიკური შესაძლებლობები, და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა. განხორციელებულმა ღონისძიებებმა უნდა გამოიღოს *შუალედური შედეგები (IRs)* და უნდა გაიზომოს შესაბამისი *ინდიკატორებით*, რომლებიც ქვემოთაა მოცემული.

A. მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ეკონომიკური განვითარების ამოცანა)

შუალედური შედეგი 1: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სტრატეგიულ სექტორებში.

- ინდიკატორი: დასრულებული პროექტების ეკონომიკური ზეგავლენის ღირებულება.

შუალედური შედეგი 2: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

- ინდიკატორი: USAID-ის დახმარების რაოდენობა
- ინდიკატორი: ლევერიჟებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი ინფრასტრუქტურის პროექტებისთვის, სადაც კი მიზანშეწონილია
- ინდიკატორი: USAID-ის მიერ დაფინანსებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების რაოდენობა და ღირებულება (სხვადასხვა სახეობებად დაყოფილი; წყლის სისტემა, გზები, ირიგაცია და სხვ.)
- ინდიკატორი: სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობათა რაოდენობა, რომლებიც პირდაპირ დახმარებას იღებენ აშშ-ის მთავრობის ინტერვენციებიდან (სოფლის მეურნეობაში და არა სოფლის მეურნეობაში)
- ინდიკატორი: დახმარების მიმღები მუნიციპალიტეტების რაოდენობა.

- ინდიკატორი: აშშ-ის მთავრობის დახმარებით მხარდაჭერილი მექანიზმების რაოდენობა იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც მართვას ახორციელებენ
- ინდიკატორი: აშშ-ის მთავრობის დახმარების შედეგად დამატებით მორწყული და გაუმჯობესებული ჰექტარების რაოდენობა

B. მუნიციპალური განვითარება და ეკონომიკური შესაძლებლობები (ეკონომიკური ზრდის ამოცანები)

შუალედური შედეგი 1: გაუმჯობესებული ეკონომიკური უსაფრთხოება სამიზნე მოწყველადი მოსახლეობისა და სექტორისათვის

- ინდიკატორი: სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობათა რაოდენობა, რომლებიც პირდაპირ დახმარებას იღებენ აშშ-ის მთავრობის ინტერვენციებიდან – აქ შედის ის შინამეურნეობები, რომლებიც დამხარებას იღებენ თემის განვითარების პროექტების მეშვეობით და/ან იღებენ ტექნიკურ დახმარებას, გრანტებს, სოფლის მეურნეობის საშუალებებს და სხვა დახმარებას, რომელიც ხელს უწყობს მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

შუალედური შედეგი 2: მუნიციპალური განვითარების მოდელის შექმნა

- ინდიკატორი: მუნიციპალური განვითარების გეგმების მიღება

შუალედური შედეგი 3: მუნიციპალური განვითარების გეგმების განხორციელება:

- ინდიკატორი: მიღებული /განახლებული განვითარების გეგმების რაოდენობა
- ინდიკატორი: მთავრობის, კერძო სექტორისა და / ან სხვა დონორების პროგრამების მიერ ლევერიჟირებული დოლარის ოდენობა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე
- ინდიკატორი: ეკონომიკური ზეგავლენა ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებზე
- ინდიკატორი: ინფრასტრუქტურის მცირემასშტაბიანი დასრულებული პროექტების რაოდენობა
- ინდიკატორი: სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა და პროდუქტულობა
- ინდიკატორი: შინამეურნეობათა შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია
- ინდიკატორი: შინამეურნეობათა რაოდენობა, რომლებიც მიჩნეულია ღარიბ ან მოწყველად ჯგუფებად და რომელთაც ეწევათ დახმარება შემოსავლის გაზრდისა ან საკვების უვნებლობის გაუმჯობესების მიზნით
- ინდიკატორი: ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები სამსახურის მოძიებისა ან შემოსავლის პოვნის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით

- ინდიკატორი: სამიზნე მოსახლეობისა და სექტორებისათვის ფინანსირებაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა
- ინდიკატორი: სპეციალური ფონდების/სესხების რაოდენობა, რომლებიც ამ წელს იყოს გაცემული სამიზნე ჯგუფებისათვის
- ინდიკატორი: სამიზნე ჯგუფებისათვის მიწოდებული გრანტების რაოდენობა

C. იძულებით გადაადგილებული პირების განსახლება (კუმანიტარული დახმარების ამოცანა)

შუალედური შედეგი 1: დახმარება და აღდგენა (პროგრამის კომპონენტი)

- ინდიკატორი: ინდიკატორი: იძულებით გადაადგილებულ პირთა სამიზნე ოჯახების რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლების რაოდენობა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტანდარტების შესაბამისად
- ინდიკატორი: იძულებით გადაადგილებულ პირთა სამიზნე ოჯახების საცხოვრებელი სახლების განახლება სტანდარტული საყოფაცხოვრებო პირობებით.
- ინდიკატორი: იმ რეაბილიტირებული შენობების და დასახლებების რაოდენობა, სადაც გამოყენებულია გრძელვადიანი მიდგომა (მაგ. ბინის მფლობელთა ასოციაციები) საცხოვრებელი სახლების მართვისა და ტენიკური მართვის მიზნით და რომლებიც აგრძელებენ ფუნქციონირებას ერთი წლის შემდეგაც.

შუალედური შედეგი 2: გაუმჯობესებული სათემო ინფრასტრუქტურა

- ინდიკატორი: აშშ-ის მთავრობის დახმარების ღირებულება
- ინდიკატორი: თემის განვითარებისათვის ლევერეჟებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი
- ინდიკატორი: დახმარების მიმღები მუნიციპალიტეტების რაოდენობა.

შუალედური შედეგი 3: მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებსა და სექტორებში გაუმჯობესებული ეკონომიკური უსაფრთხოება.

- ინდიკატორი: სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობათა რაოდენობა, რომლებიც პირდაპირ დახმარებას იღებენ აშშ-ის მთავრობის ინტერვენციებიდან.

შუალედური შედეგი 4: გაფართოებული ძირითადი სოციალური, ჯანდაცვის მომსახურებები დაუცველი ჯგუფების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ინდიკატორი: სამიზნე არეალებში არსებული მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც ხელი მიუწვდება გაუმჯობესებულ

სანიტარულ ობიექტებზე აშშ-ის მთავრობის დახმარების შედეგად

- ინდიკატორი: ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც გაუმჯობესებული სასმელი წყალი მიეწოდებათ

V. საქმიანობები/საქმიანობის შერჩევა

A. მუნიციპალური ინფრასტრუქტურა (ეკონომიკური ზრდის ამოცანა)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელება. ეს პროექტები ფოკუსირდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე სულ მცირე 5 მუნიციპალიტეტში, რომლებიც დაზარალდა 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტის დროს. ეს მუნიციპალიტეტები შეირჩევა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგად, ხოლო პროექტების შერჩევის კრიტერიუმები შემუშავდება USAID//საქართველოსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ.

მიიჩნევა, რომ შერჩეული პროექტები გამიზნული იქნება სოფლების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და დაკავშირებული იქნება კრიტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებასა ან აღდგენასთან, მათ შორის წყლის სისტემასთან, გზებსა და ირიგაციასთან (მაგრამ არა მხოლოდ ამასთან). ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შემოთავაზებულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობა, კერძოდ პროექტების შერჩევისა და მონიტორინგის დროს; ეს მოხდება გამჭვირვალე და ინკლუზიური პრაქტიკის გამოყენებით და სარგებელს (პირდაპირ და ირიბ) მოუტანს სამიზნე მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსახლეობას.

საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია. ეს კომპონენტი აქცენტს გააკეთებს სულ მცირე ერთ საირიგაციო სისტემაზე (უმთავრესად და შესაძლებელია მეორად საირიგაციო არხებზე), რათა ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. სარეაბილიტაციო სამუშაოების მასშტაბებიდან გამომდინარე შერჩევა მოხდება ერთობლივად USAID/საქართველოს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

მიჩნეულია, რომ შერჩეული სისტემები ხელს შეუწყობს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის პროდუქტულობის საგრძნობლად გაძლიერებით და ფოკუსირებას მოახდენს სოფლის მოსახლეობაზე, იძულებით გადაადგილებულ პირებზე ან იმ პირებზე, რომლებიც დაზარალდნენ 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტის დროს.

B. მუნიციპალური განვითარება და ეკონომიკური შესაძლებლობები (ეკონომიკური ზრდის ამოცანები)

სოფლის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება. დახმარება გაეწევა ადგილობრივ მთავრობებს, საწარმოებს და ინდივიდუალურ პირებს, რათა შექმნას ეკონომიკური შესაძლებლობები და გაიძარდოს ხალხის შემოსავალი - ეს მოხდება ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფებისა და ინდივიდუალური პირების საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში შვიდ მუნიციპალიტეტში, რომელზეც ერთობლივად შეთანხმდებიან მხარეები. ხელმძღვანელობს რა ფართომასშტაბიანი მიდგომებით, პროექტი დაეხმარება სოფლად მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას გამოწვევების გადალახვაში - მათ შორის უქონლებს, ვისაც საკვების ნაკლებობა აქვს, მოწყვლად და / ან იძულებით გადაადგილებულ პირებს.

მუნიციპალურ მთავრობებთან და თემებთან პარტნიორობის შედეგად დახმარება მხარს დაუჭერს დაგეგმვის საშუალებების შემუშავებასა და თემებისა და მუნიციპალიტეტების კონკრეტულ გეგმებს. ასეთი გეგმები თავის თავში მოიცავს სოციალური უსაფრთხოების ქსელებს ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობისათვის და სწრაფი რეაგირების აღდგენის სტრატეგიებს თემების დასახმარებლად ბუნებრივი კატასტროფებისა ან სხვა ადგილობრივი ეკონომიკური შოკის შემდეგ. მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროექტი განავითარებს შესაბამისი მთავრობის წევრებისა და სათემო ლიდერების შესაძლებლობებს, რათა მათ შეინარჩუნონ დაგეგმარების ინსტრუმენტები, შეიმუშავონ გეგმები და გაზომონ შედეგები. პროექტი მხარს დაუჭერს კავშირს რეგიონალური განვითარების გეგმებისა და რეგიონალური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას შორის. განვითარების ასეთ გეგმებთან ერთად დახმარება:

- წელიწადში შეიტანს ინფრასტრუქტურის მცირე პროექტების შექმნასა და დაფინანსებაში (მაგ. საირიგაციო არხების გაწმენდა, ფერმერული მეურნეობების წარმოება).
- მიაწოდებს ტექნიკურ დახმარებას ეკონომიკური შესაძლებლობების გასავითარებლად (მაგ. მებაღეობა, მეფუტკრეობა, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი) წარმოებიდან დაწყებული ბაზრით დამთავრებული.
- დახმარებას გაუწევს ინფორმაციაზე, ინვესტიციებსა და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერებას.
- შეისწავლის, და შესაძლებლობის ფარგლებში განავითარებს, ალტერნატიული დასაქმების შექმნის სქემებს.

გარდა ამისა, პროექტი დაეხმარება ძალზე მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის მოხუცებს, ინვალიდებს და ახალგაზრდებს თემისა ან რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვაში. სოფლის მხარის ღარიბი მაცხოვრებლებისათვის საარსებო საშუალებების შეზღუდვის პრობლემების გადაჭრის გარდა, დახმარება ფოკუსირებული იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა თემებზე, რათა დაარსდეს ისეთი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული საცხოვრებელი ერთეულის მდგრადობასა და ფუნქციონირებას.

C. იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება (კუმანიტარული დახმარების ამოცანა)

2008 წლის აგვისტოს შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ადგილების განახლება. USAID განაახლებს დაახლოებით 4,000 სახლს, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ააშენა. კონფლიქტის შემდგომ შემქნილი საგანგებო მდგომარეობის გამო ეს სახლები ხშირად არასათანადოდ შენდებოდა. საქართველოს მთავრობა ამჟამად ახორციელებს აღნიშნული სახლების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას. USAID საქართველოს მთავრობის საქმიანობას შეავესებს საცხოვრებელი სახლების ისეთი კეთილმოწყობით, როგორცაა შხაპი, პირსაბანი, საპირფარეშო და წყლის ონკანები. იძულებით გადაადგილებული პირების ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა მოსალოდნელია, რომ მათი განახლება გაზრდის ამ სახლების ფასს გაყიდვის შემთხვევაში.

USAID გეგმავს ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევას აღნიშნულ დასახლებებში სასმელი წყლის სისტემების დაპროექტებასა და დამონტაჟებაში, ასევე თხევადი და მყარი ნარჩენების განთავსებაში. ამ საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ქმედებები მოიცავს: წყლის მომარაგების გაუმჯობესებას, სახლებში სანტექნიკის დამონტაჟებას და სეპტიკური სისტემების გაყვანას.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამჟამად მუშაობს იძულებით გადაადგილებული პირების ოცდათერთამეტივე დასახლების ჰიდროლოგიურ კვლევაზე. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდსა და USAID-ს შესაძლებლობას მისცემს განსაზღვრონ ტექნოლოგიურად ყველაზე შესაბამისი წყლის მომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები თითოეული შერჩეული დასახლებისათვის.

აშშ-ის კონგრესის ზემოაღნიშნული განცხადების შესაბამისად USAID დაინტერესებულია წყლის ონკანების დაყენებით იძულებით გადაადგილებული პირების სახლებში. ამ მიზნით USAID პრიორიტეტს მიანიჭებს იმ დასახლებებს, სადაც წყალზე ხელმისაწვდომობა არ არის შემზღვედავი ფაქტორი სახლებში წყლის ონკანების დაყენებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის მომარაგება საკმარისი არ არის სახლებში წყლის ონკანების დასაყენებლად, კონტრაქტორი გამოიკვლევს დამატებითი (ან ახალი) წყლის ჭაბურღილების მოწყობის, ან წყლის სხვა წყაროებიდან მოპოვების შესაძლებლობებს.

ამასთან, კონტრაქტორი განიხილავს წყლის კონსერვაციისა და გადამუშავების შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებას. ეს შესაძლოა მოიცავდეს:

- სახლებში დამონტაჟებული ონკანების კონტროლის მოწყობილობებს;
- წყლის ხელახალი გამოყენების სისტემებს სასოფლო-სამეურნეო ნარგავების მოსარწყავად;
- საყოფაცხოვრებო წყლის გამოყენებას ტუალეტის ჩასარეცხად;
- განახლებადი და წყლის გამაცხელებელ ენერგო ეფექტურ მექანიზმებს; და
- ჩამდინარე წყლების გაწმენდას ხელოვნურ ჭაობებში.
- წყლის გამრიცხველიანებას, გრაფიკის შედგენას, და გადახდის სისტემებს.

1990-იან წლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი ადგილების რეაბილიტაცია. 1990-იანი წლებში დაზარალებული იძულებით გადაადგილებული მრავალი პირი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, სადაც ცხოვრების პირობები უკიდურესად არადაამაკმაყოფილებელია. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს ახალი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს და იმავდროულად მიზნად ისახავს მოახდინოს ამ საერთო საცხოვრებლების და სხვა შენობების რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. აღნიშნული შენობების რეაბილიტაცია შეესაბამება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინტერესს მთლიანად გაუმჯობესდეს იძულებით გადაადგილებული პირების ცხოვრების პირობები.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ამჟამად ახორციელებს დამატებითი შენობების შერჩევას USAID-ის მიერ მათი რეაბილიტაციისათვის. სარეაბილიტაციო შენობების სია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ საბინაო მონაცემთა ბაზის ნაწილია. შერჩევის ნაწილის პროცესის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს დაახლოებით ოცდათხუთმეტი შენობის შეფასებას, რომელთა სრული რეაბილიტაციაც პოტენციურად შესაძლებელი იქნება. (ამ საქმიანობის ფარგლებში რეაბილიტაციის მიზნით დაახლოებით ასი შენობა შეფასდება). ეს შენობები არის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კუთვნილებაში. კერძო საკუთრებაში არსებულ შენობებს, რომლებიც შერჩეულ იქნება რეაბილიტაციისათვის, საქართველოს მთავრობა შეიძენს.

ის შენობები, რომელთა რეაბილიტაციის შესაძლებლობაც განიხილება, განთავსებულია სხვადასხვა ქალაქში მთელი ქვეყნის მასშტაბით: თბილისში, რუსთავეში, ქარელში, ხაშურში, ქუთაისში, ხობში და ზუგდიდში. შენობების რეაბილიტაციის შემდეგ საკუთრების უფლება გადაეცემა იძულებით გადაადგილებულ პირებს.

USAID უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების დროს გამოყენებული იქნება ენერგო ეფექტური სტანდარტები და მასალები. კონტრაქტორი უზრუნველყოფს ენერგო ეფექტური ღონისძიებების გატარებას როდესაც კი ეს შესაძლებელია.

USAID მონაწილეობას მიიღებს სარეაბილიტაციო შენობების შერჩევაში. შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნება შემდეგი ზოგიერთი ძირითადი კრიტერიუმი: რამდენად მდგრადია მთლიანად შენობა, ბინების ფართი, რეაბილიტაციის ხარჯი თითოეულ მაცხოვრებელზე გაანგარიშებით, შენობის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა (მაგ. წყალი, კანალიზაცია, ელ. ენერგია), სატრანსპორტო მომსახურებების ხელმისაწვდომობა, და საარსებო საშუალებების არსებობა.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ვერ შესძლებს რეაბილიტაციის მიზნით არსებული შენობების მნიშვნელოვანი რაოდენობის იდენტიფიცირებას, მაშინ USAID-მ შესაძლოა განიხილოს ალტერნატიული ვარიანტები იმ იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად, რომელთაც არ გააჩნიათ ვარგისიანი საცხოვრებელი ადგილები. ამგვარი ალტერნატიული ვარიანტები დაფუძნებული იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების გეგმებზე და მხარეების ურთიერთშეთანხმებაზე.

იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების საკითხის მდგრად გადაჭრაში წვლილის შეტანა. იმისათვის, რომ რეაბილიტირებული შენობების მდგომარეობა დროთა განმავლობაში არ გაუარესდეს, შესაძლოა განხორციელდეს მრავალი სხვადასხვა ღონისძიება. საქმიანობის ამ კომპონენტის ფარგლებში ხელი შეეწყობა თემზე დაფუძნებულ მონაწილეობას, რომელშიც იძულებით გადაადგილებული პირები მონაწილეობას მიიღებენ საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მომსახურებაში, გარემონტებასა და მართვაში. USAID საექსპერტო დახმარებას გაუწევს მათ, ჩაუტარებს ტრენინგებს და გასცემს მცირე გრანტებს მთლიანად განსახლების პროგრამის ფარგლებში ფიზიკური და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ქვემოთ საილუსტრაციოდ მოცემულია ის მიდგომები, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების გრძელვადიანი მდგრადობის მისაღწევად.

1. ბინის მფლობელთა ასოციაციების ჩამოყალიბება იძულებით გადაადგილებული პირების მონაწილეობით. ბინის მფლობელთა ასოციაციების ძირითადი ფუნქციაა თავიდან იქნეს აცილებული საცხოვრებელი შენობების მდგომარეობის გაუარესება. ეს საშუალებას მისცემს მობინადრეებს ერთობლივად მართონ საერთო ფართი საცხოვრებელ შენობაში. იდეალურ შემთხვევაში ბინის მფლობელთა ასოციაციები შემოსავალს მიიღებენ მაცხოვრებელთათვის მომსახურებების გაწევაში (მაგ. სახლის გარემონტება). ამასთან, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო დაეხმარება ბინის მფლობელთა ასოციაციებს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

2. საცხოვრებელი შენობების მდგრადი ტექნიკური მომსახურება. საცხოვრებელი შენობების ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. რადგან ბენეფიციარ იძულებით გადაადგილებულ პირებს სასოფლო-სამეურნეო საქმეების გაძლოლის გამოცდილება აქვთ, მათთვის ხშირად უცნობია თანამედროვე განსახლების სისტემების გარემონტების საკითხები. ბენეფიციარებს შესაძლოა ჩაუტარდეს ტრენინგი შენობის რუტინული ტექნიკური მომსახურების საკითხებში. (ტრენინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ახალი და ინოვაციური ინფრასტრუქტურული ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში). ეს შესაძლოა მოიცავდეს ტექნიკური მომსახურებისათვის საჭირო ინსტრუმენტების კომპლექტის, და ა.შ. გადაცემას.

VI. მხარეთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური განვითარების, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის 83,069,599 აშშ დოლარამდე დახმარებაზე დამატებით, USAID:

- i. შესაბამის შემთხვევაში გრანტის მიმღებს შესაძლებლობას მისცემს მონაწილეობა მიიღოს და ხელი მიუწვდებოდეს USAID-ის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პროექტის შესყიდვების საქმიანობებზე, ასევე მონაწილეობა მიიღოს შესყიდვების შეფასების კომისიებში ძირითადი საქმიანობებისათვის. ასეთ შემთხვევაში გრანტის მიმღების წარმომადგენელმა უნდა დაიცვას აშშ-ის ყველა შესაბამისი კანონი და მარეგულირებელი წესი, რომელიც შეეხება ამგვარ კომისიებში მონაწილეობას, და შესაძლოა მოეთხოვოს ხელი მოაწეროს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ დოკუმენტებს.
- ii. მოამზადებს განხორციელების წერილებს, რათა გრანტის მიმღებს შეატყობინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების მექანიზმების და მათი შესრულებისათვის გასაცემი ჯილდოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.
- iii. მოიწვევს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს, რათა მონაწილეობა მიიღონ აუდიტორულ შემოწმებებში აშშ-ის მთავრობის მარეგულირებელი წესების დასაკმაყოფილებლად.
- iv. ითანამშრომლებს გრანტის მიმღებთან მუნიციპალური/რეგიონული ინფრასტრუქტურის დახმარებასთან დაკავშირებული მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით.
- v. გრანტის მიმღებს გაუზიარებს USAID-ის მიერ დაფინანსებულ გარემოსდაცვით შეფასებებს, რომელიც დაკავშირებულია ამ დახმარებასთან.

ბ. საქართველოს მთავრობა

i. სტრატეგიული დაგეგმვის კოორდინირება:

იძულებით გადაადგილებული პირების განსახლებისა და ინფრასტრუქტურის ერთობლივი სამუშაო გეგმა. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მეშვეობით გრანტის მიმღები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვის გზით შეიმუშავენს ერთობლივ სამუშაო გეგმას

დაგეგმვის სათანადო პერიოდით. საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე სამუშაო გეგმაში განისაზღვრება იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციის, მშენებლობის და საჭირო ინფრასტრუქტურის პრიორიტეტები.

მუნიციპალური განვითარების დაგეგმვის მოდელი: გრანტის მიმღები განახორციელებს საჭირო ქმედებებს იმისათვის, რომ კანონიერად იქნას მიღებული მუნიციპალური განვითარების დაგეგმვის პროცესი.

- ii. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. გრანტის მიმღები მხარს უჭერს გამჭვირვალობას და კონსულტაციების გამართვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარების განხორციელებისას შემდეგი გზით:

გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის *ვარჯისიანი ბინების განაწილების სახელმძღვანელო პრინციპების, კრიტერიუმების და პროცედურების* სრული დაცვა, მათ შორის საქართველოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

გრანტის მიმღებმა მონიტორინგის და კონსულტაციების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პერიოდულად უნდა განახლოს იძულებით გადაადგილებული პირების სამოქმედო გეგმა. გრანტის მიმღებმა უნდა გამოიყენოს თანამონაწილეობაზე დაფუძნებული საკონსულტაციო პროცესი, სადაც ჩართავს იძულებით გადაადგილებულ პირებს სამოქმედო გეგმისა და იძულებით გადაადგილებულ პირების ბინით უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის საქმიანობების შემუშავებაში.

გრანტის მიმღებმა საჯარო უნდა გახადოს ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეირჩევიან ის იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ვარჯისიანი საცხოვრებელი ფართით. გრანტის მიმღებმა უნდა გამოიყენოს თანამონაწილეობითი მიდგომა, რათა ბენეფიციარმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მონაწილეობა მიიღონ იმ საცხოვრებელი ადგილის და ინფრასტრუქტურის ტიპის განსაზღვრაში, რომლის რეაბილიტაციაც უნდა განხორციელდეს.

გრანტის მიმღებმა უნდა გამოიყენოს მოსახლეობასთან კონსულტაციის პროცესი ინფრასტრუქტურის ყველა პროექტის შემუშავებაში, შერჩევასა და განხორციელებაში. ამ პროცესის შედეგად ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები ცნობილი გახდება იმ მოქალაქეებისათვის, რომელზეც ზეგავლენას მოახდენს ეს გეგმები; მიღებულ და გათვალისწინებულ იქნება მონაწილეთა მოსაზრებები და მათთვის პრობლემატური საკითხები.

- iii. მდგრადობა. გრანტის მიმღები შეიმუშავებს და განახორციელებს ბინით უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის საქმიანობებს ისე რომ, უზრუნველყოს გრძელვადიანი მდგრადობა:

მაგალითად, გრანტის მიმღებმა, შესაბამის შემთხვევაში, უნდა გამოიყენოს ბინის მფლობელთა ასოციაციები საცხოვრებელ შენობებში საერთო ფართის და წყლის, ნაგვის, და საკანალიზაციო სისტემების მართვისა და ტექნიკური მომსახურების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულების დასრულებამდე გრანტის მიმღებმა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით მხარდაჭერილი საცხოვრებელი ადგილის საკუთრების უფლება უნდა გადასცეს იძულებით გადაადგილებულ პირებს.

გრანტის მიმღებმა მდგრადობის გეგმა უნდა შეიტანოს მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და ირიგაციის თითოეულ პროექტში, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, წარმოადგინოს მოსაკრებლებისა და მათი შეგროვების მეთოდოლოგიები, განსაზღვროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა, მართვის შესაძლებლობები, ტექნიკური მომსახურება და დაფინანსება. სადაც მიზანშეწონილი იქნება, გრანტის მიმღებმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რათა წარუდგინოს საჭირო ყოველწლიური დაფინანსება რეაბილიტირებული მუნიციპალური/სათემო ინფრასტრუქტურის მომსახურებისათვის შესაბამის ადგილობრივ ადმინისტრაციებს.

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გრანტის მიმღებმა უნდა შეინარჩუნოს კონტროლი USAID-ის მიერ დაფინანსებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამუშაოებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს წერილობით იქნება შეთანხმებული. ორგანიზაციებისათვის უფლების გადაცემა, გრანტის მიმღების კონტროლის უფლების შენარჩუნებით, უნდა შეესაბამებოდეს ამ ვალდებულებას.

iv. სტანდარტები: გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული ბინათმშენებლობის, ინფრასტრუქტურის და სხვა სამუშაოები და ტექნიკური მომსახურება განხორციელდეს ყველა შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, მათ შორის:

გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მშენებლობა შეესაბამებოდეს სამართლებრივი ძალის მქონე საქართველოს *სამშენებლო სტანდარტებს* გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც USAID სხვაგვარად განსაზღვრავს ამას წერილობითი ფორმით. გრანტის მიმღებმა იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი შენობების მშენებლობისას უნდა უზრუნველყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს *იძულებით გადაადგილებული პირების ვარგისიანი საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის ან მშენებლობის სამუშაოების სტანდარტების* შესრულება.

გრანტის მიმღები თანხმდება, რომ ყველა სამშენებლო და ინფრასტრუქტურის სამუშაოებისათვის გამოყენებული იქნება შესაბამისი ენერგო დამზოგავი სტანდარტები და მასალები.

გრანტის მიმღები თანახმაა, რომ დაიცავს საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და USAID-ის გარემოსდაცვით მოთხოვნებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული USAID-ის მიერ დაფინანსებული საქმიანობების განხორციელებისას.

- v. სხვა პროექტებთან დაკავშირება: გრანტის მიმღებმა გონივრული ძალისხმევა უნდა წარმართოს, რათა იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის საქმიანობები დააკავშიროს USAID-ის სხვა პროგრამებთან.

გრანტის მიმღები აქტიურად უნდა ისწრაფვოდეს ინტეგრაციისა და თანამშრომლობისაკენ USAID-ის სხვა პროექტებთან, მათ შორის არის: წყალგამყოფებზე ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვის პროგრამა (IINRMW), ეკონომიკური პრიორიტეტის ინიციატივა (EPI), კარგი სახელმწიფო მართვა საქართველოში (G3), FORECAST და პროფესიული განათლება.

კერძოდ, მხარეები უნდა ისწრაფვოდნენ დააკავშირონ USAID FORECAST-ისა და G3-ის ძალისხმევები ეროვნული და რეგიონალური განვითარების სტრატეგიის განხორციელების მხარდასაჭერად.

VII. მონიტორინგი და შეფასება

ზემოთ მოცემული IV მუხლში მოცემული ინდიკატორები შესაძლოა უფრო ვრცლად იქნეს ჩამოყალიბებული *განხორციელების წერილებში*, სადაც წარმოდგენილი იქნება მონაცემების მოპოვებისა და შეფასების დამატებით აღწერა, რაოდენობა, პერიოდულობა და შესაბამისი წყაროები ან საშუალებები. *განხორციელების წერილებში* მოცემული საპროგნოზო მაჩვენებლები დაეფუძნება არსებულ ტენდენციებს და USAID-ის, გრანტის მიმღების წინასწარ შეფასებულ შედეგებს, და სხვა დონორების ინტერვენციებს. საპროგნოზო მაჩვენებლები, საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა იქნება შეფასებული და დამატებითი მონაცემების არსებობის შემთხვევაში მოხდება მათი კორექტირება.

USAID მიზნად ისახავს გამოიყენოს დამოუკიდებელი მესამე მხარე, არქიტექტურული და საინჟინრო კომპანია წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქმიანობების მონიტორინგის მიზნით. ამასთან, *განხორციელების წერილებში* მოცემული იქნება მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული გეგმები, მათ შორის შიდაუწყებრივი, ერთობლივი, ან მესამე მხარის მიერ განსახორციელებელი შეფასებები, შესამუშავებელი ანგარიშები და შეფასების განრიგები.

USAID-მ შესაძლოა განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიებები საქმიანობების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე, ასევე სტრუქტურული მონაცემების შედეგებზე დაფუძნებით, ან გრანტის მიმღების თხოვნით. გამოსასწორებელი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს ერთი ან მეტი მიმდინარე საქმიანობის შეწყვეტას, შემცირებას, ან სხვა მხრივ მოდიფიცირებას, ან ახალი

საქმიანობების დამატებას, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ღონისძიებებით. საქმიანობებისათვის გამოყოფილი სახსრები შესაძლოა შეწყდეს, შემცირდეს ან გადანაწილდეს სხვა არსებულ საქმიანობებზე, ან ახალ საქმიანობებზე, რომელიც განხორციელდება ამოცანის მიღწევის მიზნით.

VIII. განხორციელების სხვა საკითხები

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების („სტანდარტული დებულებები“) მე-2 დანართის ბ.5 ნაწილით გათვალისწინებულ აუდიტორული დებულებებთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც USAID პირდაპირ, და არა გრანტის მეშვეობით, აფინანსებს განმახორციელებელ პარტნიორებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობების შესასრულებლად, USAID აუდიტორული შემოწმებების შესახებ საჭირო დებულებებს გაითვალისწინებს ამგვარ პარტნიორებთან გაფორმებულ განმახორციელებელ შეთანხმებებში გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი აუდიტორული შემოწმების გეგმების - როგორც ეს აღწერილია ზემოაღნიშნულ ნაწილში - გათვალისწინებით.

იმდენად, რამდენადაც USAID წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობებს აფინანსებს გრანტის მიმღები ორგანიზაციების ან გრანტის მიმღების მიერ ფლობილი ორგანიზაციების მეშვეობით, განხორციელების გრანტებში ან კონტრაქტებში მოცემული უნდა იყოს დეტალური აუდიტორული შემოწმების გეგმები, და ამგვარი გეგმები უნდა შეესაბამებოდეს ბ.5 ნაწილში მოცემული სტანდარტული დებულებების დანართს და მოიცავდეს დებულებებს გრანტის მიმღებ ქვეყანაში კონტრაქტორების, მასპინძელი მთავრობის მიერ ფლობილი ორგანიზაციების და სხვა ქვე-მიმღებების, რომლებიც დაფინანსებას უშუალოდ გრანტის მიმღებიდან იღებენ, აუდიტორული შემოწმების მეთოდოლოგიის, დაფინანსებისა და პერიოდულობის შესახებ.

დანართი 1-ის ქვედანართი 1

USAID-ის ფინანსური გეგმა

ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის ხელშეკრულება 2010 - 2013 წლებსათვის

	1207	2009 წლის დამატებითი თანხა	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	აღდგენა	ჯამური თავდაპირველი ვალდებულება	ჯამური მიახლოებული თანხა
ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	\$6,842,924	\$7,110,000	\$2,200,000	\$3,000,000	\$3,000,000	\$262,640	\$16,415,563	\$22,415,564
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	\$11,152,428	\$9,500,000					\$20,652,428	\$20,652,428
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება		\$34,668,597					\$34,668,597	\$34,668,597
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების ზედამხედველობა		\$4,331,403					\$4,331,403	\$4,331,403
პროგრამის მხარდაჭერა	\$586,607	\$415,000					\$1,001,607	\$1,001,607
ჯამური თანხა:	\$18,581,959	\$56,025,000	\$2,200,000	\$3,000,000	\$3,000,000	\$262,640	\$77,069,599	\$83,069,599

მე-2 დანართი
სტანდარტული დებულებები
შინაარსი

მუხლი ა: განსაზღვრებები და განხორციელების წერილები
პუნქტი ა.1. განსაზღვრებები
პუნქტი ა.2. განხორციელების წერილები

მუხლი ბ: ზოგადი დებულებები
პუნქტი ბ.1. კონსულტაციები
პუნქტი ბ.2. ხელშეკრულების განხორციელება
პუნქტი ბ.3. საქონლისა და მომსახურების გამოყენება
პუნქტი ბ.4. დაბეგვრა
პუნქტი ბ.5. ანგარიშები და ინფორმაცია, ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აუდიტორული შემოწმებები და ინსპექტირება
პუნქტი ბ.6. ინფორმაციის სისრულე
პუნქტი ბ.7. სხვა გადასახდელები
პუნქტი ბ.8. ინფორმაცია და აღნიშვნები

მუხლი გ: შესყიდვის პროცედურები
პუნქტი გ.1. წარმოშობის წყარო და ადგილი
პუნქტი გ.2. შესყიდვის განხორციელების ვადა
პუნქტი გ.3. გეგმები, სპეციფიკაციები და კონტრაქტები
პუნქტი გ.4. გონიერული ფასი
პუნქტი გ.5. პოტენციური მომწოდებლების შეტყობინება
პუნქტი გ.6. ტრანსპორტირება
პუნქტი გ.7. დაზღვევა
პუნქტი გ.8. აშშ-ის მთავრობის საკუთრებაში არსებული ჭარბი ქონება

მუხლი დ: გადახდები
პუნქტი დ.1. გადახდები უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯებისათვის
პუნქტი დ.2. გადახდები ადგილობრივ ვალუტაში გასაწევი ხარჯებისათვის
პუნქტი დ.3. გადახდების სხვა ფორმები
პუნქტი დ.4. სავალუტო გაცვლითი კურსი

მუხლი ე: ხელშეკრულების შეწყვეტა; სამართლებრივი დაცვის საშუალებები
პუნქტი ე.1. ხელშეკრულების შეჩერება და შეწყვეტა
პუნქტი ე.2. თანხის დაბრუნება
პუნქტი ე.3. უფლებათა შენარჩუნება მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში
პუნქტი ე.4. უფლების გადაცემა.

მუხლი ვ: სხვადასხვა
პუნქტი ვ.1. ინვესტიციების ხელშეწყობა
პუნქტი ვ.2. ნარკოტიკებით მოვაჭრეების დახმარების აკრძალვა
პუნქტი ვ.3. ტერორისტების დაფინანსება
პუნქტი ვ.4. საერთაშორისო კონფერენციებზე უცხო ქვეყნის სამთავრობო დელეგაციების დაფინანსების აკრძალვა

სტანდარტული დებულებები

მუხლი ა: განსაზღვრებები და განხორციელების წერილები

პუნქტი ა.1. *განსაზღვრებები.* წინამდებარე დანართში აღნიშნული „ხელშეკრულება“ მიუთითებს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის დანართსა და შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე დანართი. ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების ანალოგიური მნიშვნელობა აქვთ.

პუნქტი ა.2. *განხორციელების წერილები.* წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებაში დახმარების მიზნით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო პერიოდულად მოამზადებს განხორციელების წერილებს (შემდგომში, „განხორციელების წერილები“), რომელშიც შეიტანს დამატებით ინფორმაციას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების შესახებ. მხარეებმა შეიძლება ასევე ერთობლივად მოამზადონ *განხორციელების წერილები*, რათა დაადასტურონ და წერილობით გადმოსცენ წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების ასპექტებთან დაკავშირებული საერთო აღქმა. განხორციელების წერილები შეიძლება ასევე მომზადდეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნებადართული გადასინჯვის ან გამონაკლისი შემთხვევების წერილობითი ასახვის მიზნით.

მუხლი ბ: ზოგადი დებულებები

პუნქტი ბ.1. *კონსულტაციები.* მხარეები ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანისა და პროგრამის კომპონენტების განხორციელება. ამ მიზნით მხარეები, ერთმანეთის თხოვნით, გაცვლიან მოსაზრებებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანისა და პროგრამის კომპონენტების განხორციელების შედეგების, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, და ყველა იმ კონსულტანტის, კონტრაქტორის, ან მიმწოდებლის საქმიანობის შედეგების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაში, ასევე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

პუნქტი ბ.2. *ხელშეკრულების განხორციელება.* გრანტის მიმღები ვალდებულია:

(ა) განახორციელოს ხელშეკრულება და ის საქმიანობები, რომელთა უშუალო განხორციელებაც (ან შესრულების უზრუნველყოფაც) გრანტის მიმღებს მოეთხოვება, ან უზრუნველყოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და ამგვარი საქმიანობები შეასრულონ სათანადო გულისხმიერებით და ეფექტურობით, სათანადო ტექნიკური, ფინანსური, და მმართველობითი პრაქტიკის, ასევე USAID-ის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დამტკიცებული დოკუმენტების, გეგმების, სპეციფიკაციების, კონტრაქტების, შესრულების განრიგების და პირობების, ასევე მათში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების დაცვით; და

(ბ) უზრუნველყოს კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელების გამოყოფა, და მოამზადოს ამგვარი კადრი წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქმიანობების წარმართვისა და განხორციელებისათვის, ასევე განგრძობითი შინაარსის საქმიანობების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი წარმართვა და განხორციელება ისე, რომ მიღწეულ იქნეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანისა და პროგრამის კომპონენტების განგრძობადობა და წარმატებული განხორციელება.

პუნქტი ბ.3. საქონლისა და მომსახურების გამოყენება

წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ყველა საქონელი და მომსახურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სხვაგვარად იქნება განსაზღვრული USAID-ის წერილობით დოკუმენტში, გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესასრულებლად იმ დრომდე, სანამ არ დასრულდება ან არ შეწყდება ეს ხელშეკრულება, ხოლო შემდგომ (ასევე ხელშეკრულების შეჩერების ნებისმიერ პერიოდში) გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ამოცანის შესრულების შემდგომი ხელშეწყობისათვის, ან სხვა მიზნით, როგორც ამას *განხორციელების წერილებში* მიუთითებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.

პუნქტი ბ.4. დაბეგვრა

(ა) *გადასახადების გადახდებისაგან ზოგადი გათავისუფლება.* წინამდებარე ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარება გათავისუფლებულია გრანტის მიმღების ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისაგან.

(ბ) ქვეპუნქტში მითითებული გადასახადების გადახდებისაგან ზოგადი განთავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად არის აღნიშნული ამ ქვეპუნქტში, ვრცელდება (1) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის მიერ დაფინანსებულ ნებისმიერ საქმიანობაზე, კონტრაქტზე, გრანტზე ან განხორციელების შესახებ სხვა შეთანხმებაზე; (2) ზემოთ მოცემული (1) პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერ ოპერაციაზე ან საქონლის მოწოდებაზე, აღჭურვილობაზე, მასალებზე, ქონებასა და სხვა საქონელზე (შემდგომში, ერთობლივად „საქონელი“); (3) კონტრაქტორებზე, გრანტის მიმღებებზე, ან სხვა ორგანიზაციაზე, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებენ USAID-ის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს; (4) ამგვარი ორგანიზაციების ნებისმიერ თანამშრომელზე; და (5) ნებისმიერ კონტრაქტორზე ან გრანტის მიმღებზე, რომლებიც ფიზიკური პირები არიან, და რომლებიც ახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის მიერ დაფინანსებულ საქმიანობებს.

(გ) ქვეპუნქტში მითითებული გადასახადების გადახდებისაგან ზოგადი განთავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად

არის აღნიშნული წინამდებარე ქვეპუნქტში, ვრცელდება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გადასახადებით:

- (1) გადასახადებისაგან გათავისუფლება 1. საბაჟო გადასახადები, ტარიფები, იმპორტის გადასახადები, ან სხვა გადასახადები, რომელიც შემოღებულია საქონლის, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მათი ოჯახის წევრების პირადი საკუთნოებისა და პირადი მოხმარების ნივთების (მათ შორის პირად საკუთრებაში არსებული ავტომობილების) იმპორტზე, გამოყენებასა და რეექსპორტზე. გადასახადებისაგან განთავისუფლება (1) მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ყველა გადასახადებით, რომელიც ეფუძნება ამგვარი იმპორტირებული საქონლის ღირებულებას, თუმცა არ მოიცავს მომსახურებაზე გადასახადებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ საქონლის ან ტვირთის გადატანის მიზნით განხორციელებულ მომსახურებებს.
- (2) გადასახადებისაგან გათავისუფლება 2. საშემოსავლო, მოგების ან ქონების გადასახადი, რომელიც შემოღებულია (i) ნებისმიერი სახის უცხო ქვეყნის ორგანიზაციებზე (ii) ადგილობრივი და უცხო ქვეყნის ორგანიზაციების უცხო ქვეყნის თანამშრომლებზე, ან (iii) უცხო ქვეყნის კონტრაქტორ ფიზიკურ პირებსა და გრანტის მიმღებებზე. გადასახადებისაგან განთავისუფლება (2) მოიცავს ყველა სახის საშემოსავლო და სოციალური დაცვის გადასახადს და ყველა იმ გადასახადს, რომელიც შემოღებულია უცხო ქვეყნის ორგანიზაციების ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქონებაზე, როგორც პირადზე, ასევე უძრავ ქონებაზე. ტერმინი 'ადგილობრივი' მიუთითებს იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც დაფუძნებულია გრანტის მიმღებ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და ასევე გრანტის მიმღები ქვეყნის მოქალაქეებზე, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომელთაც გააჩნიათ შეერთებულ შტატებში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის სტატუსი.
- (3) გადასახადებისაგან გათავისუფლება 3. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის დაფინანსებით საქონლის ან მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ბოლო ოპერაციაზე დაწესებული გადასახადები, მათ შორის გაყიდვებზე გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), ან გადასახადები შესყიდვებზე, ან უძრავი ქონების იჯარაზე, ან პირად ქონებაზე. ტერმინი 'ბოლო ოპერაცია' მიუთითებს იმ ბოლო ოპერაციაზე, რომლითაც მოხდა საქონლის ან მომსახურების შესყიდვა იმ საქმიანობებისათვის, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ფინანსდება USAID-ის მიერ.

(დ) იმ შემთხვევაში, თუ გადასახადი შემოღებულ და გადახდილ იქნა გადასახადების გათავისუფლების შესახებ დებულებების საწინააღმდეგოდ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, შეიძლება (1) მოითხოვოს გრანტის მიმღებისაგან ამ გადასახადების აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის, ან სხვა პირთათვის დაბრუნება, რადგან USAID-ის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრების გარდა უფლება აქვს განკარგოს ამგვარი გადასახადების დაბრუნების შედეგად

მიღებული სახსრები, ან (2) ამგვარი გადასახდის თანხა გამოქვითოს იმ თანხებიდან, რომელთა გადახდაც უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ან მხარეთა შორის გაფორმებული ნებისმიერი სხვა შეთანხმების მიხედვით.

(ე) გადასახადების განთავისუფლების პირობების გამოყენების თვალსაზრისით არსებული უთანხმოების შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ დაუყოვნებლივ შეხვდებიან და გადაწყვეტენ ამგვარ საკითხებს, რომლის დროსაც იხელმძღვანელებენ იმ პრინციპით, რომ USAID-ის მიერ გაწეული დახმარება თავისუფალია პირდაპირი დაბეგერისაგან და ამდენად, USAID-ის მიერ გაწეული ყველა დახმარება ხელს შეუწყობს უშუალოდ გრანტის მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

პუნქტი ბ.5. ანგარიშები და ინფორმაცია, ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აუდიტორული შემოწმებები და ინსპექტირება

(ა) ანგარიშები და ინფორმაცია. გრანტის მიმღებმა USAID-ის უნდა წარუდგინოს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო ჩანაწერები, სხვა ანალოგიური ინფორმაცია და ანგარიშები, რომელთა წარდგენაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო მოითხოვს გონივრულად.

(ბ) ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები. გრანტის მიმღები აწარმოებს საბუღალტრო წიგნებს, ჩანაწერებს, დოკუმენტაციასა და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებას, რომელშიც ადექვატურად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აისახება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღების მიერ გაწეული ყველა ხარჯი, მის მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების მიღება და გამოყენება, წინასწარშეთანხმებული ხარჯების განაწილების მოთხოვნები, გრანტის მიმღების მიერ საქონლისა და მომსახურების შესაძენად პოტენციური მომწოდებლებისათვის განკუთვნილი ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევის შინაარსი და მონაწილეთა მოცვის მასშტაბი, კონტრაქტის გაცემის საფუძველი და გრანტის მიმღების მიერ განხორციელებული პირდაპირი წესით განხორციელებული დაკვეთები, ასევე მიღწეული საერთო პროგრესი ხელშეკრულების განხორციელების დასრულების თვალსაზრისით ('ხელშეკრულების შესახებ წარმოებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები'). ხელშეკრულების საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები გრანტის მიმღებმა უნდა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, რომელიც გავრცელებულია შვედეთულ შტატებში, ან გრანტის მიმღების გადაწყვეტილები, და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანხმობით, - ბუღალტრული აღრიცხვის სხვა პრინციპების შესაბამისად, მაგალითად ის პრინციპები, რომლებიც (1) დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ (ბუღალტრული საერთაშორისო ფედერაციის წევრი), ან (2)

გაერცელებულია გრანტის მიმღების ქვეყანაში. ხელშეკრულების შესახებ დოკუმენტაცია და ჩანაწერები შეინახება სულ მცირე სამი წლის განმავლობაში USAID-ის მიერ განხორციელებული თანხის ბოლო გადახდის თარიღიდან, ან უფრო ხანგრძლივი პერიოდით, რომელიც საჭირო იქნება სასამართლო დავის გადასაწყვეტად, ბრალდებების, ან აუდიტის შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე საპასუხოდ, თუკი ამგვარი საჭიროება იარსებებს. გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად, შევნიშნავთ, რომ ბ.5(ბ) პუნქტი ვრცელდება მხოლოდ საგრანტო თანხებზე, რომელიც უშუალოდ გრანტის მიმღების მიერ დაიხარჯება.

(გ) *გრანტის მიმღების აუდიტორული შემოწმება.* იმ შემთხვევაში, თუ პირველ ფისკალურ წელს უშუალოდ გრანტის მიმღების მიერ დაიხარჯება USAID-ის სახსრებიდან \$300,000 ან უფრო მეტი, გრანტის მიმღებმა ამ ხარჯების ფინანსური აუდიტორული შემოწმება უნდა განახორციელოს შემდეგი პირობების დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვა პირობებზე არ შეთანხმდებიან წერილობით:

(1) USAID-ის თანხმობით გრანტის მიმღები აუდიტის ჩატარების თხოვნით მიმართავს ქვეყანაში არსებულ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს, ან შეარჩევს დამოუკიდებელ აუდიტორს USAID-ის გენერალური ინსპექტორის მიერ გამოცემული დოკუმენტის, „დახმარების მიმღები უცხო ქვეყნის მიერ ფინანსური აუდიტორების შერჩევის სახელმძღვანელო მითითებები“ (შემდგომში, „სახელმძღვანელო მითითებები“), – მიხედვით. აუდიტორული შემოწმებები უნდა განხორციელდეს აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად; და

(2) აუდიტორმა უნდა დაადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გამოყოფილი სახსრების მიღება და გახარჯვა ასახული არის თუ არა ზემოთ მოცემულ (ბ) ქვეპუნქტით შეთანხმებული საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად და გრანტის მიმღებმა დაიცვა თუ არა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ყოველი აუდიტორული შემოწმება უნდა დასრულდეს არა უმეტეს ცხრა თვის განმავლობაში გრანტის მიმღების იმ საანგარიშგებო წლის დასრულებიდან, რომელი წლის ანგარიშგების აუდიტიც ხორციელდება.

(დ) *გრანტის თანხის ქვე-მიმღებთა აუდიტორული შემოწმება.* გრანტის მიმღები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, მისთვის მისაღები ფორმით და შინაარსით, წარუდგენს გრანტის სახსრების 'ფარული' ქვე-მიმღებების მიერ განხორციელებული დანახარჯების აუდიტორული შემოწმების გეგმას. როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული 'ფარული' ქვე-მიმღებები არიან გრანტის სახსრების ის მიმღებები, რომლებიც სახსრებს იღებენ გრანტის მიმღებთან პირდაპირი კონტრაქტის, ან ხელშეკრულების გაფორმებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობების შესასრულებლად.

- (1) 'ფარული' ქვე-მიმღები არის ის, ვინც ხარჯავს 300,000 აშშ დოლარს, ან უფრო მეტ თანხას 'USAID-ის მიერ საგრანტო თანხების გაცემის' ფისკალურ წელს (ანუ, როგორც გრანტის ქვე-მიმღები USAID-ის სტრატეგიული ამოცანისა და უცხო ქვეყნის მთავარობებთან გაფორმებული სხვა საგრანტო ხელშეკრულებების მიხედვით).
- (2) აუდიტორული შემოწმების გეგმით განისაზღვრება მეთოდოლოგია, რომელსაც გრანტის მიმღები გამოიყენებს ფარულ ქვე-მიმღებებთან მიმართ თავისი აუდიტორული შემოწმების პასუხისმგებლობების შესასრულებლად. გრანტის მიმღებს ამგვარი პასუხისმგებლობები შეუძლია შეასრულოს ქვე-მიმღებთა დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების მეშვეობით; გრანტის მიმღების დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტორული შემოწმების სფეროს განვრცობითა და ქვე-მიმღებთა სააღრიცხვო ანგარიშების შემოწმების მოცვით; ან აღნიშნული ორივე პროცედურის კომბინაციით.
- (3) აუდიტორული შემოწმების გეგმაში აღინიშნება ფარულ ქვე-მიმღებთათვის გამოყოფილი სახსრები, რომელთა შემოწმებაც განხორციელდება აუდიტის შესახებ სხვა დებულებების დაცვით ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების დროს, და რითაც შესრულდება გრანტის მიმღების აუდიტორული პასუხისმგებლობები. (შეერთებულ შტატებში დაფუძნებულ არამომგებიან ორგანიზაციას მოეთხოვება თვითონ განახორციელოს თავისი აუდიტორული შემოწმების ორგანიზება. შეერთებულ შტატებში დაფუძნებული იმ არამომგებიანი კონტრაქტორის, რომელსაც უშუალოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან აქვს გაფორმებული კონტრაქტი, აუდიტორულ შემოწმებას განახორციელებს აშშ-ის მთავრობის შესაბამისი სააგენტო. კერძო, მოხალისეებზე დაფუძნებული ორგანიზაციას, რომელიც არ შეერთებულ შტატებში არის დაფუძნებული და რომელიც უშუალოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან ღებულობს გრანტს - მოეთხოვება თვითონ განახორციელოს თავისი აუდიტორული შემოწმების ორგანიზება. გრანტის მიმღები ქვეყნის კონტრაქტორის აუდიტორული შემოწმება განხორციელდება გრანტის მიმღების აუდიტორული ორგანოს მიერ.)
- (4) გრანტის მიმღები უზრუნველყოფს, რომ ფარულმა ქვე-მიმღებებმა, რომელთაც გრანტის მიმღებთან პირდაპირი კონტრაქტები ან ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული, განახორციელონ შესაბამისი და დროული მაკორექტირებელი ღონისძიებები; გრანტის მიმღები განსაზღვრავს ქვე-მიმღებთა აუდიტორული შემოწმებები განაპირობებენ თუ არა გრანტის მიმღების სააღრიცხვო ჩანაწერების კორექტირებას, და ყოველი ამგვარი ქვე-მიმღებებისაგან მოითხოვს, რომ დამოუკიდებელი აუდიტორებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ბუღალტრული

ჩანაწერები და ფინანსური ანგარიშები, როდესაც კი ამგვარი საჭიროება წარმოიშება.

- (ე) *აუდიტორის დასკვნები.* გრანტის მიმღები წარუდგენს, ან უზრუნველყოფს, რომ USAID-ის წარუდგინონ აუდიტორის დასკვნა ყველა იმ აუდიტორული შემოწმებისათვის, რომლის ჩატარების ორგანიზება ხელშეკრულების წინამდებარე ნაწილის შესაბამისად განახორციელა გრანტის მიმღებმა. აუდიტორული დასკვნები წარდგენილი უნდა იქნეს აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან 30 დღეში და არა უგვიანეს ცხრა თვისა იმ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან, რომელი პერიოდის ანგარიშგების აუდიტიც ხორციელდება.
- (ვ) *სხვა ფარული ქვე-მიმღებები.* იმ 'ფარული' ქვე-მიმღებების შემთხვევაში, რომელთაც წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული აქვთ პირდაპირი კონტრაქტები ან ხელშეკრულებები, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აღნიშნული კონტრაქტებში ან ხელშეკრულებებში შეიტანს აუდიტორული შემოწმების შესაბამის მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების მიხედვით წარმოდგენილ აუდიტორის დასკვნებთან დაკავშირებით გრანტის მიმღების სახელით განახორციელოებს შემდგომ ღონისძიებებს.
- (ზ) *აუდიტორული შემოწმების ხარჯები.* ხელშეკრულების ამ ნაწილით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ხარჯები, რომელზეც საჭიროა გაიცეს USAID-ის წერილობითი თანხმობა, შეიძლება გადახდილ იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების თანხიდან.
- (თ) *USAID-ის მიერ აუდიტორული შემოწმების განხორციელება.* აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებას განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული შემოწმებები გრანტის მიმღების სახელით, რომლისთვისაც გამოიყენებს წინამდებარე ხელშეკრულების თანხებს, ან სხვა რესურსებს, რომელიც USAID-ს გააჩნია ამ მიზნისათვის; განახორციელოს ფინანსური საქმიანობის მიმოხილვა, ან სხვაგვარად უზრუნველყოს იმ ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება, რომლებიც ხარჯავენ USAID-ის სახსრებს მიუხედავად იმისა, მათ მიმართ არსებობს თუ არა აუდიტორული შემოწმების მოთხოვნა.
- (ი) *აუდიტორული შემოწმების ან ინსპექტირების შესაძლებლობა.* გრანტის მიმღებმა USAID-ის უფლებამოსილ წარმომადგენლებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, ყოველ გონიერულ დროს, განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსებული საქმიანობების, USAID-ის მიერ დაფინანსებული საქონლის ან მომსახურებების გამოყენების, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნების, საადრიცხვო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების აუდიტორული შემოწმება ან ინსპექტირება.

(კ) *ქვე-მიმღებთა საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები.* გრანტის მიმღები წინამდებარე პუნქტის (ა), (ბ), (დ), (ე), (ზ), (თ) და (ი) ქვეპუნქტებს შეიტანს ქვე-ხელშეკრულებებში, რომელსაც გააფორმებს იმ არა-ამერიკულ ორგანიზაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე პუნქტის (გ) ქვეპუნქტით 300,000 აშშ დოლარის ოდენობით განსაზღვრული ხარჯების გაწვევის მაქსიმალურ ზღვარს. იმ არა-ამერიკულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ქვე-ხელშეკრულებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ხარჯების გაწვევის 300,000 აშშ დოლარიან მაქსიმალურ ზღვარს, მინიმუმ უნდა შეიცავდეს (თ) და (ი) ქვეპუნქტებს. აშშ-ში რეგისტრირებულ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ქვე-ხელშეკრულებებში უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში დარეგისტრირებული ორგანიზაცია ექვემდებარება *მართვისა და საბიუჯეტო ოფისის (OMB) A-133* ცირკულარით განსაზღვრულ აუდიტორული შემოწმების მოთხოვნებს.

პუნქტი ბ.6. *ინფორმაციის სისრულე.* გრანტის მიმღები ადასტურებს, რომ:

(ა) ის ფაქტები და გარემოებები, რომელთა შესახებაც მან აცნობა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ან უზრუნველყო, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის ეცნობებინათ, ზუსტია და სრული და მოიცავს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ამ ხელშეკრულებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესრულებაზე; და

(ბ) იგი USAID-ს დროულად აცნობებს ნებისმიერ შემდგომ ფაქტსა და წარმოშობილ გარემოებას, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს, ან გონიერულია ვიფიქროთ, რომ მოახდენს ამ ხელშეკრულებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესრულებაზე.

პუნქტი ბ.7. *სხვა გადასახდელები.* გრანტის მიმღები ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქონლის ან მომსახურების შექენასთან დაკავშირებით გრანტის მიმღების არც ერთ წარმომადგენელს არ მიუღია, ან არ მიიღებს რაიმე თანხას გარდა იმ მოსაკრებლებისა, გადასახადებისა, ან ანალოგიური გადასახდელებისა, რომელსაც ითვალისწინებს გრანტის მიმღების ქვეყნაში მოქმედი კანონმდებლობა.

პუნქტი ბ.8. *ინფორმაცია და აღნიშვნები.* გრანტის მიმღები ფართო საზოგადოებისათვის სათანადოდ გააშუქებს ამ ხელშეკრულებას, როგორც ისეთ პროგრამას, რომელშიც წვლილი შეიტანა შეერთებულმა შტატებმა, შესაბამის აღნიშვნებს გააკეთებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობების ადგილებში, და USAID-ს მიერ დაფინანსებულ საქონელზე გააკეთებს ისეთ აღნიშვნას, როგორც ეს *განხორციელების წერილებით* იქნება განსაზღვრული.

მუხლი გ: შესყიდვის პროცედურები

პუნქტი ბ.1. წარმოშობის წყარო და ადგილი

გ.1. წარმოშობის წყარო და ადგილი

(ა) გარდა იმ შემთხვევებისა, როგორც ეს აღნიშნულია ამ პუნქტში, ან USAID-ის მიერ გაფორმებული ქვე-ხელშეკრულებაში, საგრანტო თანხები გამოყენებულ იქნება იმ საქონლისა და მომსახურების ხარჯების დასაფარად, რომელთა წარმოშობის წყარო და ადგილი, ხოლო საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლებთან მიმართებით – მათი ეროვნება, არის ის ქვეყნები, რომელთა გეოგრაფიული კოდი არის 000 ან 110 (საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, და ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნები) შეკვეთის გაგზავნისას, ან ამგვარი საქონლის ან მომსახურების მისაღებად კონტრაქტების გაფორმების დროს. ამ მოთხოვნის გამონაკლისი შემთხვევები მოიცავს ადგილობრივი შესყიდვის ოპერაციებს USAID-ის პოლიტიკის შესაბამისად, ან ისეთ შესყიდვებს, რომლებიც განხორციელდება მას შემდეგ, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან მიღებულ იქნება წარმოშობის წყაროსთან, ადგილსა და ეროვნულ კუთვნილებასთან დაკავშირებით წერილობითი თანხმობა. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდება გრანტის მიმღების ორგანიზაციების მიერ, როგორცაა მუნიციპალური განვითარების ფონდი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო განხორციელების წერილში წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას წარმოშობის წყაროს, ადგილისა და ეროვნული კუთვნილების წესების, ასევე ადგილობრივი შესყიდვების პოლიტიკის შესახებ.

ამასთან:

(1) საოკეანო გადაზიდვების ხარჯები დაფინანსდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ იმ მცურავი საშუალებების შემთხვევაში, რომლებიც ცურავენ იმ დროშის ქვეშ, რომელიც შეტანილია 935-ე კოდეში აღნიშნული ქვეყნების დროშების რეესტრში. ასევე იხილეთ ჩ.6 ნაწილი იმ მცურავი საშუალებების შესახებ, რომლებიც აშშ-ის დროშის ქვეშ ცურავენ.

(2) გრანტის მიმღების ქვეყანა საზღვაო დაზღვევისათვის უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯების უფლებამოსილი წყაროა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული გ.7(ა) პუნქტით.

(3) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები წარმოებული უნდა იყოს შეერთებული შტატების მწარმოებლის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად განსაზღვრავს ამას წერილობით.

(ბ) ადგილობრივი ვალუტაში გასაწევი ხარჯები. ადგილობრივ ვალუტაში გასაწევი ხარჯებისათვის განხორციელებული გადახდები ექსკლუზიურად გამოიყენებულ იქნება წინამდებარე ხელშეკრულებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურებების დასაფინანსებლად USAID-ის ადგილობრივი შესყიდვების პოლიტიკით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი იქნება განხორციელების წერილში.

(გ) საოკეანო და საჰაერო გადაზიდვის წარმოშობის წყაროდ და ადგილად მიჩნეულ იქნება გადაზიდვის დროს საოკეანო მცურავი საშუალების, ან მფრინავი საშუალების რეგისტრაციის ქვეყანა.

(დ) იმ საქონელის და მომსახურებების შესახებ დებულებები, რომელთა შექმნაც შეზღუდულია, ან დაუშვებელია, წარმოდგენილ იქნება *განხორციელების წერილში*.

(ე) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ქონების საჰაერო გადაზიდვა, ან პირთა საჰაერო ტრანსპორტირება განხორციელდება იმ საჰაერო მფრინავი საშუალებებით, რომელთაც გააჩნიათ შეერთებული შტატებში გაცემული სერტიფიკატი იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მფრინავი საშუალებების მომსახურება დაშვებულია *ამერიკული მფრინავი საშუალებების შესახებ კანონით*. ეს მოთხოვნა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შეიძლება დამატებით აღწეროს *განხორციელების წერილებში*.

პუნქტი ბ.2. *შესყიდვის განხორციელების ვადა*. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში არ დაფინანსდება ის საქონელი, ან მომსახურება, რომელიც შექმნილ იქნა იმ შეკვეთების ან კონტრაქტების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა და ძალაში შევიდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით.

პუნქტი ბ.3. *გეგმები, სპეციფიკაციები და კონტრაქტები*. შემდეგ საკითხებზე საერთო შეთანხმების არსებობისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან წერილობით:

(ა) გრანტის მიმღებმა USAID-ის მომზადებისთანავე უნდა წარუდგინოს:

(1) ნებისმიერი გეგმა, სპეციფიკაციები, შესყიდვების ან მშენებლობის განრიგები, კონტრაქტები, ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გრანტის მიმღებსა და მესამე მხარეს შორის უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებით დასაფინანსებელ საქონელთან ან მომსახურებებთან დაკავშირებით, მათ შორის კონტრაქტორების წინასკვალისფიკაციო შერჩევასა და კონტრაქტორების შერჩევასთან, ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევის შინაარსი და სატენდერო წინადადებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ანალოგიურად, ამგვარ დოკუმენტაციაში შესატანი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ინფორმაცია USAID-ს წარედგინება ცვლილებების მომზადების დასრულებისთანავე; და

(2) დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი ისეთი საქონლის ან მომსახურების შესყიდვასთან, რომელიც არ ფინანსდება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ USAID-ს მიაჩნია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებისათვის, ასევე წარედგინება USAID-ს მისი მომზადებისთანავე. წინამდებარე (ა)(2) ქვეპუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებული ხელშეკრულების ასპექტები იდენტიფიცირებული იქნება *განხორციელების წერილებში*.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით კონტრაქტორების წინასკვალისფიკაციო შერჩევასა და ტენდერში მონაწილეობის მიღების მოწვევასთან, ან

წინადადებებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ გამოქვეყნებამდე, წერილობით დაამტკიცებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და მათ პირობებში აისახება შეერთებული შტატების სტანდარტები და კრიტერიუმები;

(გ) წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ იმ კონტრაქტებსა და კონტრაქტორებს, რომლებიც დაქირავებულნი იქნებიან საინჟინრო და სხვა პროფესიული მომსახურების, სამშენებლო მომსახურების, და სხვა ამგვარი მომსახურების შესასრულებლად, აღჭურვილობის, ან მასალების მოსაწოდებლად, როგორც ეს შეიძლება აღინიშნოს *განხორციელების წერილებში*, - წერილობით დაამტკიცებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო კონტრაქტის გაფორმებამდე. ამ კონტრაქტებში შესატან მნიშვნელოვან ცვილებებს, მათი კონტრაქტში შეტანამდე, ასევე წერილობით დაამტკიცებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; და

(დ) იმ საკონსულტაციო ფირმების მომსახურების სფერო, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს გრანტის მიმღები წინამდებარე ხელშეკრულებისათვის, მაგრამ არ ფინანსდება ამ ხელშეკრულების ფარგლებში, ან ამ ფირმების პერსონალის მოქმედების სფერო, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებულ საქმიანობებზე იმუშავენ, როგორც ეს შეიძლება განსაზღვროს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, ასევე გრანტის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისათვის გამოყენებული სამშენებლო კონტრაქტორები, რომლებიც არ ფინანსდებიან ხელშეკრულების სახსრებით, მისაღები იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის.

პუნქტი ბ.4. *გონივრული ფასი*. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული ნებისმიერი საქონლისათვის ან მომსახურებისათვის არ იქნება გადახდილი გონივრულ ფასზე უფრო მეტი. მათი შეძენა განხორციელდება სამართლიან, და რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, მაქსიმალურად კონკურენტულ საფუძველზე.

პუნქტი ბ.5. *პოტენციური მომწოდებლების შეტყობინება*. წინამდებარე ხელშეკრულებით დასაფინანსებელი საქონლისა და მომსახურების მოწოდებაში შეერთებული შტატების ყველა ფირმებისათვის მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის მიცემის მიზნით გრანტის მიმღები USAID-ს წარუდგენს ამ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას იმ დროს, როგორც ეს შეიძლება მოითხოვოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ *განხორციელების წერილებში*.

პუნქტი ბ.6. ტრანსპორტირება

(ა) ბ.1(ა) პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, საოკეანო ან საჰაერო ხომალდებით ტრანსპორტირებისა და ტვირთის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები არ დაფინანსდება წინამდებარე ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები განკუთვნილია იმ საოკეანო ან საჰაერო გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ტრანსსპორტირებისათვის, რომელიც არ იქნა წინასწარ დამტკიცებული USAID-ის მიერ.

(ბ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო დაადგენს, რომ აშშ-ის დროშის ქვეშ მცურავი კერძო მფლობელობაში არსებული კომერციული საოკეანო ხომალდები არ არის ხელმისაწვდომი ამგვარი ხომალდებისათვის სამართლიანი და გონივრული ფასის ფარგლებში, ან სხვა მიზეზის გამო, იგი წერილობით თანხმდება, რომ:

(1) ყველა იმ საქონლის მთლიანი ტონაჟის მინიმუმ ორმოცდაათი პროცენტი (50%) (ეს პროცენტი ცალკე გამოითვლება მშრალი, შუფუთავი ტვირთის გადამზიდავებისათვის, მშრალი ტვირთის ლაინერებისა და ტანკერებისათვის), რომელიც ფინანსდება USAID-ის მიერ, და რომლის ტრანსპორტირებაც შეიძლება მოხდეს საოკეანო ხომალდებით, გადაიზიდება აშშ-ის დროშის ქვეშ მცურავი კერძო, კომერციული ხომალდებით; და

(2) USAID-ის მიერ დაფინანსებული მშრალი ტვირთის ლაინერების მეშვეობით გრანტის მიმღების ტერიტორიაზე შემოტანილი ტვირთების გადაზიდვებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის მინიმუმ ორმოცდაათი პროცენტი (50%) გადახდილი უნდა იქნეს აშშ-ის დროშის ქვეშ მცურავ კომერციულ ხომალდებისათვის ან გადახდილ იქნეს მათ სასარგებლოდ. წინამდებარე პუნქტის (1) და (2) ქვეპუნქტების მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს როგორც აშშ-ის პორტებიდან შემოტანილი ნებისმიერ ტვირთთან, ასევე სხვა ქვეყნების პორტებიდან შემოტანილ ტვირთებთან დაკავშირებით, რომელთა გაანგარიშებაც ცალკე მოხდება.

პუნქტი ბ.7. დაზღვევა

(ა) USAID-ის მიერ დაფინანსებული, გრანტის მიმღების ტერიტორიაზე შესატანი ტვირთების საზღვაო დაზღვევა შეიძლება დაფინანსდეს როგორც უცხოური ვალუტის გაცვლის ხარჯები, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ:

(1) ამგვარი დაზღვევა გახორციელდება ყველაზე მომგებიანი კონკურენტუნარიანი განაკვეთით;

(2) ამგვარ დაზღვევას განახორციელებს ისეთი ქვეყანა, რომელიც უფლებამოსილია ჩ.1(ა) პუნქტის მიხედვით; და

(3) დაზღვევის თანხებზე მოთხოვნები გადახდილ იქნება აშშ დოლარებში, ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად დათანხმდება წერილობით.

თუ გრანტის მიმღები (ან გრანტის მიმღების მთავრობა) კანონის, დადგენილების, განკარგულების, მარეგულირებელი აქტის, ან პრაქტიკის მეშვეობით USAID-ის მიერ დაფინანსებულ შესყიდვებთან დაკავშირებით განახორციელებს დისკრიმინაციას საზღვაო დაზღვევის ნებისმიერი კომპანიის მიმართ, რომელიც უფლებამოსილია შეერთებული შტატების ნებისმიერ შტატში განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა, ასეთ შემთხვევაში USAID-ის მიერ დაფინანსებული ყველა ის საქონელი, რომლის ტრანსპორტირებაც ხორციელდება გრანტის მიმღების ტერიტორიაზე, დაზღვეული იქნება საზღვაო რისკებზე და ამგვარი დაზღვევა განთავსდება შეერთებულ შტატებში მოქმედ იმ კომპანიაში, ან კომპანიებში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზღვაო დაზღვევა განახორციელონ შეერთებულ შტატებში.

- (ბ) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად თანხმდება წერილობით, გრანტის მიმღები დააზღვევს, ან უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული და წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის შემოტანილი საქონლის დაზღვევას იმ სატრანზიტო რისკებზე, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნით მათი გამოყენების ადგილამდე ტრანსპორტირებასთან; ამგვარი დაზღვევა დაფუძნდება სათანადო კომერციულ პრაქტიკის დროს გამოყენებულ პირობებს და დაზღვეული იქნება საქონლის მთლიანი ღირებულება. ნებისმიერი კომპენსაცია, რომელსაც გრანტის მიმღები ამგვარი დაზღვევის ფარგლებში მიიღებს, გამოყენებული იქნება დაზღვეული საქონლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი დაზიანების, ან დანაკარგის შესაკეთებლად ან გამოსაცვლელად. საქონლის ნებისმიერი ამგვარი გამოცვლა განხორციელდება იმ წარმოშობის წყაროსა და ადგილის ქვეყნებში წარმოებული საქონლით, რომელიც მოცემულია USAID-ის №935 გეოგრაფიულ კოდში, რომელიც ძალაში იქნება საქონლის გამოცვლის დროს, და დაექვემდებარება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.

პუნქტი ბ.8. *აშშ-ის მთავრობის საკუთრებაში არსებული ჭარბი ქონება.* გრანტის მიმღები თანხმდება, რომ როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული ახალი საქონლის ნაცვლად გამოყენებული იქნეს აშშ-ის მთავრობის საკუთრებაში არსებული ჭარბი პირადი ქონება. წინამდებარე ხელშეკრულების სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნეს ამგვარი ქონების მიღების ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი ღ: *გადახდები.* თანხის გადარიცხვები განხორციელდება იმ ფორმით, რომელზეც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან, ან როგორც ამას ითვალისწინებს 1-ლი დანართი.

პუნქტი ღ.1. *სავალუტო გაცვლითი კურსი.* იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი თანხები საქართველოში შეტანილ იქნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული USAID-ის ვალდებულებების განსახორციელებლად, გრანტის მიმღები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს, რომ ამგვარი თანხების

კონვერტაცია მოხდეს ადგილობრივ ვალუტაში კონვერტაციის მომენტში საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსით. მუხლი 2: ხელშეკრულების შეწყვეტა; სამართლებრივი დაცვის საშუალებები

პუნქტი 2.1. ხელშეკრულების შეჩერება და შეწყვეტა

- (ა) ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რომლის შესახებაც მეორე მხარეს გაუგზავნის წერილობითი შეტყობინებას ოცდაათი დღით (30) ადრე. USAID-ს ასევე შეუძლია ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რომლის შესახებაც გრანტის მიმღებს გაუგზავნის წერილობითი შეტყობინებას ოცდაათი დღით (30) ადრე. ამასთან, USAID-ს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება გრანტის მიმღებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნისთანავე იმ შემთხვევაში, თუ (i) გრანტის მიმღები არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე დებულებას, (ii) ადგილი ექნება ისეთ მოვლენას, რის გამოც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გადაწყვეტს, რომ ამ მოვლენის გამო სავარაუდოდ შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების ამოცანის ან პროგრამის კომპონენტების განხორციელება, ან (iii) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდის განხორციელება ან ამ სახსრების გამოყენება დაარღვევს USAID-ის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, რომელიც ამჟამად მოქმედებს, ან შემდგომში შევა ძალაში.
- (ბ) წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებამდე მხარეების მიერ მესამე მხარეების წინაშე აღებული თანხის გადახდის იმ ვალდებულებების გარდა, რომლებიც არ ექმნება გაუქმებას, წინამდებარე ხელშეკრულების შეჩერების, მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმების შედეგად შეჩერდება (იმ პერიოდით, რომლითაც შეჩერებულ იქნება ხელშეკრულების მოქმედება), ან შეწყდება ხელშეკრულების განხორციელების, ან მისი შეჩერებული ან შეწყვეტილი ნაწილის განხორციელების მიზნით ფინანსური ან სხვა რესურსების გამოყოფის შესახებ მხარეთა მიერ აღებული ნებისმიერი ვალდებულება. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ იქნება შეჩერებული, ან შეწყვეტილი, სრულად დარჩება ძალაში.
- (გ) ამასთან, ხელშეკრულების ამგვარი სრული ან ნაწილობრივი შეჩერების შემდეგ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, თავისი ხარჯებით, შეიძლება გადაწყვიტოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით, ან მისი შესაბამისი ნაწილით დაფინანსებული საქონლის ფლობის უფლება გადაეცეს USAID-ს იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მიწოდების ეტაპზეა.

პუნქტი 2.2. თანხის დაბრუნება

- (ა) თანხის იმ გადარიცხვების შემთხვევაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად არ არის გამყარებული კანონიერი დოკუმენტაციით, ან რომელიც გაცემულ ან გამოყენებულ იქნა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობის, ან მათი გამოყენებისა - შეუძლია მოსთხოვოს გრანტის მიმღებს ამგვარად გაცემული თანხა აშშ დოლარებში დაუბრუნოს USAID-ს ამგვარი მოთხოვნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამოც (60) დღეში.
- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა განაპირობებს წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული, ან მხარდაჭერით შექმნილი საქონლის, ან მომსახურების არაეფექტურად გამოყენებას ამ ხელშეკრულების შესაბამისად, USAID-ს შეუძლია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ამგვარი საქონლის ან მომსახურების შექმნის მიზნით მის მიერ განხორციელებული გადახდების აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება აშშ დოლარებში აღნიშნული მოთხოვნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამოც (60) დღეში.
- (გ) (ა) და (ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლება გადახდების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების მიუხედავად, ძალაშია ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ბოლო გადახდის დღიდან სამი წლის განმავლობაში.
- (დ) (1) (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებით, ან (2) პუნქტით გათვალისწინებული თანხის დაბრუნება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსათვის კონტრაქტორის, მომწოდებლის, ბანკის ან მესამე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანსებული საქონელთან, ან მომსახურებასთან დაკავშირებით, როდესაც თანხის დაბრუნება განპირობებულია საქონლის ან მომსახურების არაგონივრული ფასით, ან შეცდომით მომზადებულ ანგარიშფაქტურით, ან ისეთი საქონლით, რომელიც არ შეესაბამება სპეციფიკაციებს, ან არაადექვატური მომსახურებით, გამოყენებულ იქნება (ა) პირველ რიგში ხელშეკრულების ფარგლებში, რამდენადაც ამის დასაბუთება მოხდება, და (ბ) დარჩენილი თანხა, თუ ამგვარი თანხა იარსებებს, გამოყენებულ იქნება გრანტის თანხის შესამცირებლად.
- (ე) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში USAID-ის მიერ გრანტის მიმღებზე განხორციელებულ გადახდებზე დარიცხული ნებისმიერი საპროცენტო შემოსავალს, ან სხვა შემოსულობას, რომელიც მიღებულ

იქნება იმ დრომდე, სანამ მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის თანხების ნებადართული გამოყენება, გრანტის მიმღები დაუბრუნებს USAID-ს აშშ დოლარებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო სხვაგვარად დათანხმდება წერილობით.

პუნქტი ე.3. უფლებათა შენარჩუნება მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში რომელიმე მხარის მიერ ფინანსურ მონაწილეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლების ან სამართლებრივი საშუალების დაგვიანებით გამოყენება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული როგორც ამგვარ უფლებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე უარის თქმა.

პუნქტი ე.4. უფლების გადაცემა. გრანტის მიმღები თანახმაა, რომ USAID-ის მოთხოვნისთანავე აღასრულოს სამართლებრივი უფლება, რომლის განხორციელება გრანტის მიმღებს შესაძლოა ნებისმიერი მოტივაციით დაეკისროს კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, ან რომელიც შეიძლება წარმოიშვას აგვარი საქმიანობისას, ან იმ მხარის მიერ საკონტრაქტო პირობების დარღვევის შედეგად, რომელსაც პირდაპირი კონტრაქტი აქვს გაფორმებული აშშ დოლარებში, და რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დააფინანსა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრებიდან.

მუხლი ვ: სხვადასხვა

პუნქტი ვ.1. ინვესტიციების ხელშეწყობა

- (ა) წინამდებარე ხელშეკრულებით, ან USAID-ის მიერ სხვა წერილობით დოკუმენტით სპეციალურად განსაზღვრული შემთხვევების გარდა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრები, ან სხვა მხარდაჭერა არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი საქმიანობაში, რომელიც მოიცავს ინვესტიციების ხელშეწყობას უცხო ქვეყანაში.
- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღებს მიმართავენ დახმარების თხოვნით, ან თვითონ სურს დახმარების გაწევა ზემოაღნიშნულ სფეროში, ან საჭიროებს USAID-ის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული საქმიანობა ზემოაღნიშნულ შეზღუდვას, გრანტის მიმღები USAID-ს აცნობებს და წარუდგენს შეთავაზებული საქმიანობის დეტალურ აღწერას. გრანტის მიმღები არ დაიწყებს საქმიანობას იმ დრომდე, სანამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან არ მიიღებს რჩევას, რომ მას შეუძლია დაიწყოს საქმიანობა.
- (გ) გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლებისათვის, ქვე-კონტრაქტორებისა და ქვე-მიმღებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციების ხელშეწყობის მომსახურებებს - ინფორმაციის მიწოდება ამ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვების შესახებ და ეს პუნქტი შეიტანოს ყველა ქვე-კონტრაქტებსა და სხვა ქვე-ხელშეკრულებებში.

პუნქტი ვ.2. ნარკოტიკებით მოვაჭრეების დახმარების აკრძალვა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო უფლებას იტოვებს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან გაატაროს სხვა შესაბამისი ღონისძიება იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები, ან გრანტის მიმღების რომელიმე ძირითად წარმომადგენელს მსჯავრს დასდებენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულში, ან დადგინდება მისი მონაწილეობა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, როგორც ეს განსაზღვრულია *ფედერალური მარეგულირებელი წესების კოდექსის* 22-ე კარის 140-ე ნაწილით.

პუნქტი ვ.3 *ტერორისტების დაფინანსება*. გრანტის მიმღებს შეეახსენებთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ბრძანებულებებით და აშშ კანონმდებლობით აკრძალულია ტრანზაქციების განხორციელება, რესურსების მიწოდება და მხარდაჭერა იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ასოცირებულნი არიან ტერორიზმთან და შეყვანილნი არიან აშშ სახაზინო დეპარტამენტის (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა აქტივების კონტროლის სამსახური) მიერ შედგენილ *სპეციალური კატეგორიის მოქალაქეებისა და ქონებადაცვადაღებულ პირთა სიაში*. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღები პასუხისმგებელია უზრუნველყოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და კანონების დაცვა. აღნიშნული დებულება შეტანილი უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებულ ყველა ქვე-კონტრაქტში, ან გრანტის ქვე-მიმღებთა ხელშეკრულებებში.

პუნქტი ვ.4 *საერთაშორისო კონფერენციებზე უცხო ქვეყნის სამთავრობო დელეგაციების დაფინანსების აკრძალვა*. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას წერილობით სხვაგვარად განსაზღვრავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სახსრები, რომელთა მოწოდებაც USAID-ის მიერ განხორციელდა *საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების, ექსპორტის დაფინანსებისა და შესაბამისი პროგრამების ასიგნებების შესახებ აქტის* მიხედვით აშშ-ის მთავრობისათვის 1999 წლის ფისკალური წლის შემდეგ ფისკალურ წელს, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციის სპონსორობით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად უცხო ქვეყნის სამთავრობო დელეგაციის არც ერთი წევრის მგზავრობის, დღიური თანხის, სასტუმროს ხარჯების, კვების, კონფერენციებზე დასწრების საფასურის, ან კონფერენციების სხვა ხარჯების დაფინანსებისათვის. აღნიშნული შეზღუდვა შეიძლება დამატებით აღიწეროს USAID-ის მიერ მომზადებულ *განხორციელების წერილებში*.